F660 №6745

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ხელოვნება

საქართველოს სსრ მხატვართა კავშირი | აპრილი, 1988 წ. | ფასი 10 კაპ.

დიახ, ბიუროკრატისათვის ინერციით ცხოვრება უფრო ადვილი, მარტივი, უფრო მომგებიანია. ამიტომაც არიან ისეთებიც, რომლებიც უზომოდ ბევრის მოლოდინში არიან, ვისაც სურს ცვლილებებს ერთი ხელის დაკვრით. მაგრამ სასწაული არ ხდება. ჩვენი ამოცანები დიდი და რთულია. გარდაქმნა — ეს არის მუშაობა, მუშაობა და ერთხელ კიდევ მუშაობა. შეუპოვარი, ვაჟკაცური, ყოველდღიური. შევიგნოთ ეს, გავითვალისწინოთ პასუხისმგებლობით გარდაქმნის წარმატებისათვის — ნიშნავს გადავდგათ ნაბიჯი წინ სულიერ განვითარებაშიც. საბჭოთა ადამიანებს, საბჭოთა ინტელიგენციას ესმით ეს, საქმით ადასტურებენ თავიანთ გულისხმიერებას, თავიანთ მხარდაჭერას პარტიის მიზნებისადმი.

ჩვენ ვხედავთ, ვაფასებთ ინტელიგენციის წვლილს გარდაქმნაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, ჩვენი დროის იდეურ-თეორიულ გააზრებაში, ქვეყნის საზოგადოებრივი შეგნების განვითარებაში, საბჭოთა ადამიანების აზრების, გრძნობების, მისწრაფებებისა და ფიქრების მხატვრულ ასახვაში. დარწმუნებული ვარ: ჩვენ წავიკითხავთ, ვნახავთ და მოვისმენთ ჩვენი ბობოქარი დროის ღირს ნაწარმოებებს.

მ. გორბაჩოვი.

# მხატვრის უპირველესი მოვალეობა ერის წინაშე

## ელგუჯა ამაშუკელი

დიდი ხანი არ არის, რაც დამთავრდა მხატვართა VII ვშირო ყრილობა. როგორც მოსალოდნელი იყო, ლობამ საჯაროობისა და დემოკრატიის ვითარებაში რა. ითქვა იმ შემოქმედებითი წარმატებებისა და წი- მდეგობების თაობაზე, რაც საბჭოთა მხატვრების აწეობაში შეინიშნებოდა საანგარიშო პერიოდში. ყრილობამ საინტერესოდ ჩაიარა. გაიმართა გულახ- ი საუბარი პრობლემებზე, რომლებიც დღეს შე- მედებითი ინტელიგენციის, კერძოდ, სახვითი ხე- ვნების ოსტატთა წინაშე დგას. ბევრი ორატორი თა- გამოსვლაში შეეხო ჩვენი ხელოვნების სპეციფიკურ თხებს: ხელოვნებაში სტილისტური მრავალფეროვ- ის, თანამედროვე ხელოვნების მემკვიდრეობითი ხა- თის ტრადიციებთან კავშირს და ახალი, პროგრესული დენციებისადმი ანალიტიკური დამოკიდებულების აუ- ებლობას. აღინიშნა ისიც, რომ ის, რაც ახლის პრე- ჟიით ჩნდება და თვითდამკვიდრებისათვის ილტვის, ლთვის როდია ახალი, და რაც ძველია, ყოველთვის რის ტრადიციული. ხელოვნებაში არსებობდა, არ- ობს და მუდამ იარსებებს ნიჭის ფენომენი, რომელიც უთარი სულიერი პასპორტით შემოდის და იმკვიდ- ს ადგილს; რა თქმა უნდა, შემოდის არა არაფრიდან, მედ ეროვნული კლასიკური კულტურის ინერციით აუცილებლობით.

ყრილობამ აირჩია სსრკ მხატვართა კავშირის გამგე- ს ახალი შემადგენლობა. მან ახალი ამოცანები და სპექტივები დასახა, გააანალიზა ჩვენი მხატვრობისათ- დამახასიათებელი ტენდენციები, შესცვალა შემო- დებითი ორგანიზაციების მუშაობის სტრუქტურა, ა ისინი უფრო მობილური გახდეს, უფრო მეტად ქვეთოს რესპუბლიკათა შემოქმედებითი კავშირე- ავტონომიური უფლებანი და შესაძლებლობანი, ი გასაქანი მიეცეს ორგანიზაციებს ეროვნული თავი- ურებებისა და სტილისტური მრავალფეროვნების მკვიდრებლად მთლიანად საბჭოთა სახვითი ხელოვ- ის საკეთილდღეოდ; უნდა გატარდეს ღონისძიებანი ოქმედთა საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობების ნელოვნად გაუმჯობესებისათვის.

აქართველოს მხატვართა კავშირი, ზემდგომი ორგა- ების მხარდაჭერითა და დახმარებით, თავისი შესაძ- ლობების ფარგლებში ყველაფერს იღონებს ყრილო- მიერ მიღებული დადგენილების რეალიზაციისათვის. რად მინდა ერთხელ კიდევ ვილაპარაკო ერის წინა- მხატვრის უპირველეს მოვალეობაზე, მის უწმინდეს აზე, შემოქმედებით პროფესიაზე, არა როგორც სა- ბო წყაროზე, არამედ როგორც ეროვნული ფენო- სულიერი ხარისხის გამჟღავნება-გამოვლენის ლებლობაზე.

რთული სახვითი ხელოვნება დღეს განვითარების ტაპზეა, როცა აუცილებელია განვლილი გზის გა- რიზება, წარმატებებისადმი თუ წარუმატებლობი- სალი, ანალიტიკური დამოკიდებულება. ტოტა- ინფორმაციის საუკუნეში თანამედროვე მსოფ- კულტურული ცხოვრების სინამდვილე შემოქ- დილემის წინაშე აყენებს: მან ან უნდა გაითვალის- ს დღევანდელი „ზოგადი ადამიანის" სულიერი ესები და მოახდინოს საკუთარი შემოქმედების ის პროგრესულ-ესთეტიკურ ამოცანებთან ადაპტი- ა, ან ეროვნული, გენეტიკური ნიშან-თვისებებით ტად დაუპირისპირდეს მას. დღევანდელ ქართულ ოვნებაში ეს ტენდენცია თვალშისაცემად გამოიკვე- მხატვრული ნოვაციები, ძიებები, რაც თანამედრო- ართულ სახვით ხელოვნებას ახასიათებს, არასოდეს რმოჩენილა საზოგადოების სამსჯავროზე ისე ფარ- თვალშესავლებად, როგორც დღეს. გამოფენა ფენას სცვლის; ცნობილი, აღიარებული ოსტატის ლით იხსნება სრულიად ახალგაზრდა მხატვრის გა- ენა. შემოქმედი, რომელიც გუშინ საკუთარი ინი- ივით თუ გაბატონებული ესთეტიკური კრიტერიუ- გამო ჩრდილში იმყოფებოდა, დღეს საზოგადოე- ყურადღების არეშია. ბევრი ცნობილი ხელოვანის თანდათან ფერმკრთალდება დაუმსახურებელი ვანდედი; სიტყვები: „დღეს გაცილებით იოლია ცარის შექმნა, ვიდრე სხვის მიერ შექმნილით აღ- ება და გაოცება", — დროის სინამდვილის მიერ თავაზებული სენტენციაა.

რთლაც, ძნელია რამით გააკვირვო იმ საუკუნის ანები, რომლებიც, როგორც პოეტი ამბობს — ერ- ურთს შეხვედრას მიწაზე კი არ უნიშნავენ, არამედ ოეზე. მიუხედავად ზემოთ თქმულისა, არსებობს ის უსასრულობა, ადამიანის გონითი უსაზღვრობა, მას მოქმედებისა და ბრძოლის სტიმულს უნარჩუ- ამ თვისებებით ადამიანი ეზიარა ზღვების, ოკეანე- და ფეხდაუდგმელი მწვერვალების რომანტიკას; თარი უსაზღვრო შესაძლებლობის რწმენამ ას- ცნა იგი კოსმოსში.

ღეს ჭეშმარიტი შემოქმედი, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს იგი, მსოფლიოს ატომარული ნაწილია, მაგრამ რი ფესვით მაინც მიწაზეა მიჯაჭვული; ამიტომაც მის შემოქმედებას მშობლიური მიწის და მზის ლება.

ყოველთვის დიდი იყო და დღესაც დიდია ხელოვანის როლი საზოგადოების ესთეტიკური გემოვნების ამაღლების, ადამიანის ბუნების გაკეთილშობილებისა და მისი ზნეობრივი თვისებების დახვეწის საქმეში. თავისი სპეციფიკური ნიშან-თვისებების გამო ხელოვნება საკუთარი კანონებით ცხოვრობს; არსებული სინამდვილე მისთვის ხშირად მხოლოდ საბაბია ხელოვნებაში მხატვრული რეალობის შესაქმნელად, ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ სუპერკომუნიკაბელურობის საუკუნეში ხელოვანი — მუსიკოსი, პოეტი, მხატვარი — მარტო აღმოჩნდება საკუთარ თავთან, უფრო სწორად, მოგვეჩვენება, რომ მარტოა, რაკი იგი თავის მიერ გამოგონილ რეალობაში დაფრინავს თუ დაიარება. იგი დროსთან ერთად მოძრაობს, მისი დამოკიდებულება სინამდვილისადმი მძაფრია, მისი ფსიქოლოგიური სივრცე ვრცელია. ხელოვანი გაცილებით ადრე შეიჭრა კოსმოსში სულიერად, ვიდრე ფიზიკურად. იგი ცდილობს უპასუხოს უსაზღვრობაში გაჭრილ საკუთარ ფიქრებს, ტკივილებს. ცდილობს იპოვოს შესატყვისი მხატვრული საშუალება, ფორმა საკუთარი გრძნობების რეალიზაციისათვის. შემოქმედებაში წინა პლანზე იწევს მოვლენის არა „მკვდარი" ფოტოილუსტრირება, არამედ ფაქტის, სინამდვილის პოეტური, მხატვრული ასახვის აუცილებლობა. კეთების ფოტო-რეალისტური აზარტი დიდი ხანია სახვით ხელოვნებაში დაამარცხა სახეობრივმა, პოეტურმა, მეტაფორულმა აზროვნებამ, მაგრამ, სამწუხაროდ, აქა-იქ ისევ გაჩნდა ე. წ. ფოტორეალიზმის ხელოვნურად აღორძინების და მხატვრული ფორმის ზედაპირულად გახალხურების რეციდივები. დღეს, როცა არა მარტო ფოტო, არამედ დოკუმენტური კინოც კი ცდილობს ფაქტების, რეალური სინამდვილის მხატვრულ განზოგადებას, სახვით ხელოვნებაში უკან, ფოტორეალიზმისაკენ დაბრუნება სულიერ ანაქრონიზმად მოჩანს. მხატვარი, ისევე როგორც მუსიკოსი, პოეტი, მსახიობი სპეციფიკური ენით მეტყველებს და ამ ენით სწვდება და ხსნის მოვლენის არსს. ენა ვითარდება; ვითარდება და იცვლება მისი „მუსიკა". დღეს შეუძლებელია, რომ ხელოვანი XVI-XVII საუკუნის ენით მეტყველებდეს და იყოს თანამედროვე ინტელექტუალურ, ურბანისტულ ყოფასთან ჰარმონიულად ადაპტირებული.

დიდებულია გარდასულ საუკუნეთა კლასიკური მხატვრული მემკვიდრეობა არა მხოლოდ ფორმის სრულყოფის თვალსაზრისით, არამედ დროის სიმართლით. დრო კი ხელოვნებაში მარადიული ფენომენია, რომელიც ერთდროულად წარსულის, აწმყოს და მომავლის სულიერ ინტერესებს აერთიანებს.

ადამიანი ისეთივე ყურადღებით და ზოგჯერ უფრო მეტი გატაცებით ათვალიერებს წინაპართა საოჯახო ალბომს, როგორც თანამედროვე ჟურნალში თანამედროვე ცხოვრების ამსახველ ფოტომასალას. ანტიკვარული ავეჯი, წინაპართა ფოტოსურათები, კლავისინი თუ უძველესი ბრინჯაოს ჭალი ადამიანს სიამოვნებას ანიჭებს არა მხოლოდ ესთეტიკური ფორმით, არამედ წარსულის, გარდასული დღეებისადმი ნოსტალგიითაც.

ხელოვნებაში დროის სიმართლე ვიზუალური თუ ბგერითი ასოციაციებით გადმოიცემა; მხატვარი დროსთან ერთად მოძრაობს, დროსთან კავშირში ეძებს მოქმედებისა თუ აზროვნების ფსიქოლოგიურ სიმართლეს. აქედანაა განპირობებული არა მარტო მისი სულიერი ინტერესები, არამედ ამ ინტერესების გამოხატვის ახალი საშუალებების ძიებაც, იქნება ეს მანათობელი ფერები ფერწერაში, ახალი სინთეტიკური მასალა ქანდაკებაში, კომპიუტერული ელექტროტექნიკა მუსიკალურ აზროვნებაში, დრამატურგიული, მუსიკალური კოლაჟი თეატრში თუ სხვა. მაგრამ, მიუხედავად ზემოთ თქმულისა, პოეტი-მხატვარი ყველა ვითარებაში პოეტად რჩება, იგი მგრძნობიარე ფენომენია, ბუნების ჰარმონიული ნაწილია, მიწაზე სხეულით და უზენაესთან ოცნებით დაკავშირებული.

ყოველი ახალი მხატვრული ამოცანა გამომსახველობის ახალ ფორმებს და საშუალებებს ითხოვს. ყველა სხვა შემთხვევაში მას გაუძნელდება ახალი იდეების დამკვიდრება და ხელოვნების ტრადიციებსაც ბევრს ვერაფერს შესძენს. ეს აზრი არ არის ორიგინალური; ოსტატობა, მაღალი პროფესიონალიზმი შემოქმედებაში უპირველეს ყოვლისა ამ რწმენისადმი ერთგულებას გულისხმობს და არა გამომსახველი საშუალებებისადმი ბრმა მორჩილებას. ბანალური აზრი რომ გავიმეორო, ხელოვნება ხომ ადამიანის სულიერი ცხოვრების შექმნაა და მისი მხატვრულ ფორმებში გადმოცემაა.

არაერთხელ გვსმენია ამა თუ იმ შემოქმედის ირგვლივ ასეთი აზრი: მშვენიერი მხატვარია, მაგრამ ცუდი პროფესიონალი; ან, პირიქით, დიდი ოსტატია, მაგრამ სუსტი შემოქმედი. პროფესია ადამიანის მიერ საკუთარი სიცოცხლის გამართლებისათვის არჩეული საქმიანობაა; თუმცა ყოველგვარი საქმიანობა სიცოცხლის დამკვიდრებას როდი ემსახურება. შეიძლება ადამიანი პროფესიონალი ქურდი და ბანდიტი იყოს, სული ეშმაკს მიჰყიდოს და მთელი სიცოცხლე მხოლოდ ბოროტებას ემსახუროს. პროფესიონალია დასტაქარიც და ჯალათიც; ერთი იცავს სიცოცხლეს, მეორე ხელჰყოფს მას. ორივე შემთხვევაში აუცილებელია მაღალი პროფესიონალიზმი, რათა ექიმი ჯალათად არ იქცეს, ჯალათი კი — ყასბად.

პროფესიონალიზმი ადამიანის თანდაყოლილი თვისება არ გახლავთ; იგი შრომის, სწავლის, წვრთნის შედეგია. არცთუ ისე ცოტაა შემთხვევა ხელოვნების ისტორიიდან, როცა ტალანტი შრომის გარეშე, პროფესიული დაოსტატების გარეშე ნაცრისფერ პიროვნებად ქცეულა. ეს ეხება ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროს. პროფესიიდან პროფესიონალიზმამდე წინააღმდეგობებით აღსავსე ვრცელი გზაა გასავლელი, რომელიც ტიტანური შრომით და ბრძოლით უნდა დაძლიოს ადამიანმა, რათა გამოამჟღავნოს საკუთარი, თანდაყოლილი, ბუნებისმიერი, რათა ეს ნიჭი მან რეალურ, ხელშესახებ ფაქტად აქციოს და ხარისხობრივად დაამკვიდროს. არცთუ ისე იშვიათია შემთხვევა, როცა ხელოვანი „მუზის მოლოდინში ალამებს და ათენებს", იმ იმედით, რომ მუზას კარებიც რომ მიუხუროს, ფანჯრიდან შემოფრინდება. ასეთ შემოქმედს ავიწყდება — შრომის ნიჭი, ისევე, როგორც ნიჭი შექმნისა, მხოლოდ ზეცაში არ არის გადაწყვეტილი უზენაესის მიერ. გოეთეს სიტყვებით რომ ვთქვათ: „შთაგონებას პოეტი მბრძანებლობს, ის უხმობს და ეძახის მას". შრომის მოთხოვნილება, ნიჭი შემოქმედებისა ადამიანს ადრეული ასაკიდან უნდა განუვითარდეს; ადრეულ ასაკშივე უნდა შეიგრძნოს მან საკუთარი შრომისაგან მიღებული სიხარული, პატარა, თითქოს ერთი შეხედვით უმნიშვნელო შთაგონებით ბავშვის ბუნებაში შეიძლება ის თესლი გააღვივო, რომელიც მომავალში მის პიროვნებაში შემოქმედებითი სიცოცხლის დიდსა თუ პატარა ხეს აღმოაცენებს.

პროფესიონალიზმი დროსთან მიმართებაში განიხილება. ისტორიიდან მრავალი მაგალითი ვიცით იმისა, თუ როგორ შეუწირავს საუკუნეებში გამოტარებული ტრადიციები დროის კაპრიზს. ჩვენი საუკუნის მეცნიერული და ტექნიკური პროგრესი მთელი თავისი ავ-კარგით დღეს სახეზეა. ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ყოფაში, მაგრამ უცვლელი დარჩა ადამიანის შინაგანი ბუნება; შეიცვალა მისი „ექსტერიერი", თუ შეიძლება ეს სიტყვა ვიხმაროთ, მაგრამ ინტერიერი, არსი უცვლელი დარჩა.

როგორც ყოველთვის, ადამიანი დღესაც სიახლისაკენ, აღმოჩენებისაკენ ილტვის; ქმნის ახალ ფორმებს, თხზავს საგნებზე, მოვლენებზე ახალ შეხედულებებს, თავისი აზრებისა და შეხედულებების მეტყველად გამოხატვისათვის ეძებს და იგონებს ახალ გამომსახველ საშუალებებს, ფორმებს, იბრძვის, შრომობს და ამკვიდრებს საკუთარ მეს. ზოგჯერ პროფესიონალიზმი ხელოვნებაში კეთების ხარისხთან არის გაიგივებული და გათიშულია შექმნის პროცესისაგან, ფორმის ზედაპირულად დასრულების ნიჭი აღრეულია შეთხზვის ფენომენთან. ბუნების მიბაძვის უნარიც ნიჭია, მაგრამ მას გამართლება მხოლოდ პაროდიის და იმიტაციის ჟანრში შეიძლება მოეძებნოს. როცა ხელოვანი — პოეტი, მხატვარი, მუსიკოსი — სხვისი სულის „ნაყოფს" ბაძავს და ამ გზით შექმნილ ნაწარმოებებს საკუთარ ქმნილებად ასაღებს, ეს სულის გაძარცვაა, პლაგიატობაა. ასეთი ხელოვანნი ისევე უნდა ისჯებოდნენ, როგორც მძარცველები, ქურდები. სამწუხაროდ, ბოლო დროს ისე მომრავლდნენ პლაგიატები, იმიტატორები, მიმბაძველები, გრაფომანები, რომ მათ რიცხვში ლამის ის ადამიანებიც აღმოჩნდნენ, რომლებსაც ეს უკანასკნელნი ბაძავენ და რომელთა პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენასაც ისინი განიცდიან.

ყოველივე ამან ზოგიერთ შემოქმედში გააქტიურა პრაგმატისტური იდეები, შეავიწროვა ზნეობრივი იდეალები, გაამახვილა მისი ყურადღება ცხოვრების ზედაპირულ მოვლენებზე; გაჩნდა ყოფის მატერიალურ სფეროში შეჯიბრების ინერცია. ბევრი შემოქმედი მოექცა მიწიერი ინტერესების ტყვეობაში და ამით დიდად ავნო საკუთარ შემოქმედებას. შემოქმედისათვის აუცილებელი სულიერი მყუდროება ყოფის კომფორტმა შეცვალა. გალაკტიონის სიტყვების პარაფრაზი რომ მოვიშველიოთ, „თავი დაიმძიმა საგანთა თანხმობით".

დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ სამეურნეო ცხოვრების განვითარების დაჩქარების აუცილებლობაზე. საჭიროა საზოგადოების სულიერი განვითარების დაჩქარებაც, მაგრამ, როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, ცხოვრების ტიპს, რიტმს, თანამედროვე ადამიანის სულიერ მოთხოვნილებას ყველა დროსა და ვითარებაში ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალმხატვრული, მაღალპროფესიული დონე აკმაყოფილებდა და არა რიცხვი. ერთადერთი სფერო ადამიანის მოღვაწეობისა ხელოვნებაა, სადაც რიცხვი ხარისხში არ გადადის. მაღალი პროფესიონალიზმი ხარისხს გულისხმობს და არა რიცხვს.

შეუძლებელია დაბალპროფესიული, უსახო ნაწარმოები რაიმე პროგრესულ იდეას გადმოსცემდეს; შეუძლებელია მაღალი პროფესიონალიზმის გარეშე დაედევნო რიცხვს, რაოდენობას და ამავე დროს შეინარჩუნო მხატვრული ხარისხი. თანამედროვე პოლიტიკური თემა, იდეა, შესრულებული დაბალ პროფესიულ დონეზე, ანტიპოლიტიკურ, ანტიიდეურ ნაწარმოებად იქცევა, მაშინ, როდესაც უძველეს ისტორიულ თემაზე შესრულებულ ნაწარმოებს ხელოვანმა თავისი ოსტატობით უაღრესად თანამედროვე პოლიტიკური ჟღერადობა შეიძლება მიანიჭოს.

მაღალი პროფესიონალიზმი შემოქმედისათვის საკუთარი სულიდან საკუთარი პირმშოს (ნაწარმოების) ოსტატურად და შედარებით უმტკივნეულოდ გამოხსნის საშუალებაა; მაგრამ ვერავითარი პროფესიონალიზმი და ოსტატობა ვერ მიანიჭებს მნახველს ხელოვნურად სიცოცხლეს, თუ იგი სულში არ მომწიფდა. ჩვენ ხშირად მოწმენი ვართ ხელოვნებაში უმწიფარი ან სულშივე გარდაცვლილი ნაწარმოების ხელოვნურად დაბადებისა. ბევრის შექმნის, მოსწრების ინერცია, სამწუხაროდ, ზოგიერთ შემოქმედში საგანგაშოდ ავიწროვებს პროფესიულ სინდისს. იბადება მოუმწიფებელი, უღღეური ნაწარმოები, რაკი სულიერი მშობიარობა დაჩქარებით ხელოვნურია.

## გილოცავთ!

# დამსახურებული აღიარება

მოსკოვში ამასწინათ დამთავრებული სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის სესიაზე აირჩიეს აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტების ახალი შემადგენლობა. აკადემიის ახალ ნამდვილ წევრთა შორის არიან საქართველოს ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები: **საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი მერაბ მერაბიშვილი** და **სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ზურაბ წერეთელი**. სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა შორის არიან **საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, სსრკ სახელმწიფო და რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ელგუჯა ამაშუკელი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სსრკ სახელმწიფო და რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი მერაბ ბერძენიშვილი** და **ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნოდარ ჯანბერიძე**.



მ. მერაბიშვილი



ზ. წერეთელი



ე. ამაშუკელი



მ. ბერძენიშვილი



ნ. ჯანბერიძე

ამ სისიხარულო ცნობას განმარტავს სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი ბ. უგაროვი: — ჩვენ კმაყოფილი ვართ მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებიდან სესიაზე არჩეული შემადგენლობით. განსაკუთრებით გაგვახარა ქართული სახვითი ხელოვნების სკოლის წარმომადგენელთა წარმატებამ. მიმაჩნია, რომ ეს სავსებით ლოგიკური შედეგია. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიასთან და შემოქმედებითს კავშირებთან ერთად ახლად არჩეული ოსტატები ღირსეულ წვლილს შეიტანენ მრავალეროვნული საბჭოთა სახვითი ხელოვნების შემდგომ განვითარებაში, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ჩვენს ქვეყანაში გაშლილი გარდაქმნის პასუხსაგებ მომენტში პარტიის კულტურული პოლიტიკის გეგმების რეალიზაციაში.



ილია ჭავჭავაძის ძეგლი ბათუმში.

[illegible] ე. ამაშუკელი.

# მარადიული განახლების პროცესი

[illegible]

ცრუკლასიცისტური, აბსტრაქტულ მოდელად ქცეული ხელოვნებით თავის მოწონება არ არის პროგრესული მოვლენა. ეს მიმდინარეობა სიღრმისეული სვლებით საჭიროებს სრულყოფას და რეალიზმის ჩარჩოების განვითარებას. დავით კაკაბაძის თანამედროვე ეროვნული ხელოვნების საგან-

[illegible]

ჩვენი ჰაერის გამჭვირვალება, ჩვენი მთების დიდებულება შინაგანი ბრწყინვალებით, მარგალიტების სახით ესწრაფვის თანამედროვე აბსტრაქტულ აზროვნებაში განზოგადოებული კოდირებით არსებობას, და ნურვის გონია, რომ კოსმოპოლიტური კონგლომერატი

[illegible]

ჩვენს სინამდვილეში აბსტრაქტული აზროვნების დაგვიანება, რომელიც 20-იანი წლებიდან უკვე არსებობდა საქართველოში ისევე, როგორც ევროპაში, სულაც არ ნიშნავს, რომ შეზღუდვების გამო თანამედროვე ქართულ მხატვრულ აზრს არ ებრძოლა პროგრესისათვის, რამაც განაპი-

[illegible]

კური. სულიერი ენერგია ფიზიკურ ენერგიასთან კავშირში სუბლიმირდება განტვირთვის სახით. თუ ფიზიოლოგიურ ენერგიას მივიღებთ ხელოვნების მამოძრავებლად, ამ ენერგიის ამოფრქვევით მხოლოდ დამანგრეველი ძალა იწყებს არსებობას და ხელოვნებაში მისი სუბლიმირება ანტიხელოვნე-

[illegible]

ტიოსნება ჩვენი შემოქმედებითი კავშირისა, სიტყვით და საქმით გაამართლებს ჩვენს ნდობას, გადაარჩენს მუზას. ამის საწინდარია ქართული სახვითი ხელოვნების რეტროსპექტული გამოფენა, გასული წლის აპრილში რომ გაიმართა ქ. მოსკოვში.

**ჯიბსონ ხუნდაძე**

# აფხაზეთის მხატვართა შემოქმედებითი წარმატებანი

**აფხაზეთის** პროფესიული სახვითი ხელოვნება, რომელიც რევოლუციამდე მხოლოდ ერთი მხატვრის, ალექსანდრე ჩაჩბა-შერვაშიძის სახელით იყო წარმოდგენილი, დღეს ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი, განუყოფელი ნაწილია, საბჭოთა მრავალეროვანი ხელოვნების თვალსაჩინო მოვლენაა. ამას თვალნათლივ ადასტურებს ბოლო წლებში სოხუმში, თბილისში, მოსკოვში, მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქებში მოწყობილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი გამოფენები აფხაზი მხატვრებისა.

დღეს აფხაზეთს შეუძლია იამაყოს თავისი მხატვრებით, რომელნიც ნაყოფიერად იღვწიან სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში. მათ შორის არიან უკვე საყოველთაოდ აღიარებული ოსტატები: ხ. ავიძბა, მ. ეშბა, ს. გაბელია, ვ. ცვიჟბა, ვ. გამგია, ტ. ამპარი, ბ. ღოღობერიძე, ვ. ხურხუმალი, გ. ლაკრბა, გ. ლაკობა, ვ. ბაგატელია და სხვანი.

დღითიდღე უფრო თამამად გაისმის ახალგაზრდა თაობის ხმა. მათი შემოქმედებითი ძიებანი თანამედროვე ცხოვრების პულსაციით ხასიათდება. ახალგაზრდა მხატვართა შორის ყურადღებას იმსახურებენ: რ. გაბელია, ნ. ლოგუა, ვ. არყანია, ს. სანგალოვი, ვ. კაცუბა, ა. ძიძარია, რ. ბარციცი, ა. ადლეიბა, ვ. ჯენია.

გასული, 1987 წელი აფხაზეთის სახვითი ხელოვნებისათვის განსაკუთრებით საინტერესო მოვლენებით მდიდარი აღმოჩნდა. ჯერ იყო და, სოხუმში გაიხსნა მხატვართა საგაზაფხულო გამოფენა. მალე ამის შემდეგ აფხაზმა მხატვრებმა მონაწილეობა მიიღეს ქართული სახვითი ხელოვნების დიდ რეტროსპექტულ გამოფენაზე ქ. მოსკოვში. შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ ჩვენმა მხატვრებმა ეს მეტად საპასუხისმგებლო გამოცდა ღირსეულად ჩააბარეს.

სერიოზულად მოეკიდნენ აფხაზი მხატვრები ოქტომბრის რევოლუციის 70-წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენას, რომელიც საიუბილეო დღეებში სოხუმის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა. ეს გამოფენა სავსებით პასუხობდა ჩვენს ქვეყანაში ამჟამად მიმდინარე სასიკეთო გარდაქმნებს. დემოკრატიის, საჯაროობის სულისკვეთებით ჩატარდა ამ გამოფენის განხილვა, რომელზეც გულღიად, საქმისადმი პრინციპული მიდგომით ით მართლე ავტონომიურ რესპ კაში სახვითი ხელოვნების მარეობის, მტკივნეული პრ მების, ხელოვნების შემდგო ნვითარების შესახებ.

გასულ წელს თვალსაჩინ ტერულ მოვლენად იქცა ა მხატვართა ნამუშევრების ფენა, რომელიც სოხუმში ავტონომიური ოლქის კულ დღეებთან დაკავშირებით მო აგრეთვე აფხაზეთის დამსა ბული მხატვრის ა. კრაინი ნამუშევართა პერსონალუ მოფენა.

მიმდინარე წელს, აპრილ ტვრის კვირეული ბევრ გვპირდება: მოეწყობა ადგ რივ მხატვართა ჯგუფური ფენები, გამოფენა-გაყიდვებ კარის დღე მხატვართა სახ ნოებში. ვფიქრობ, განსაკ ბულ ინტერესს გამოიწვევს ბილი მხატვრების ნიკოლ სვიატოსლავ რერიხების ნა ვართა გამოფენა.

აფხაზეთის მხატვართა მედებითი კოლექტივი სისხ სე, საინტერესო შემოქმედ ცხოვრებით ცხოვრობს.

**ახრა აჯინჯა**

# აჭარის ნათელი ფერები

**აჭარის** მხატვართა კავშირის რიგებში გაერთიანებული თითქმის ყველა წევრი, 57 მხატვარი, ინტენსიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა, სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ და საკავშირო სამხატვრო გამოფენებზე. ხშირად ეწყობა გასვლითი გამოფენები და შეხვედრები აჭარის მაღალმთიან სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში. ჩვენი სურვილია, ხელოვნების სამყაროს ვაზიაროთ უბრალო, მშრომელი ადამიანები.

ხშირად იხსნება გამოფენები თვით ბათუმში. ვიწვევთ მხატვრებს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან, კოლეგებს მოძმე რესპუბლიკებიდან. ამით ვცდილობთ უფრო მრავალფეროვანი, ხალისიანი, შინაარსიანი გავხადოთ ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული ცხოვრება. ვცდილობთ და ვაღწევთ კიდეც მიზანს.

მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ გვაქვს მეტად სერიოზული, შეიძლება ითქვას, გადაუდებელი პრობლემა — პრობლემა საგამოფენო დარბაზისა, რომელიც რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაიჭრას.

შესაძლებლად, სასურ მიგვაჩნია ბათუმში საკავ უფრო მეტიც, საერთაშ პლენერის ჩატარება. ჩვენ ლაქს სამისოდ ხელსაყრელ რობები გააჩნია.

მიუხედავად გარკვეული ლეებისა, აჭარის მხატვრებ სა და ენერგიას არ იშუ ეროვნული სახვითი ხელო შემდგომი წინსვლისა და გან რებისათვის.

**ჰასან ინაიშვი**
აჭარის მხატვართა კა თავმჯდომარე.

# სახვითი ხელოვნების შემდგომი წინსვლისა და განვითარებისათვის

**საქართველოს** მხატვართა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილება თავისი არსებობის 50 წელს ითვლის. სახელოვან იუბილეს ოს მხატვართა შემოქმედებითი გაერთიანება თვალსაჩინო წარმატებებით შეხვდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის გასული, 1987 წელი, როდესაც საზეიმოდ აღვნიშნეთ ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავი. ამ თარიღს მივუძღვენით თემატური საიუბილეო გამოფენა.

ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში მახარბეკ ტუგანოვმა გზა გაუკაფა ოსეთის პროფესიულ სახვით ხელოვნებას. მის კვალს მიჰყვა მხატვართა შემდგომი ნიჭიერი თაობა. დღეს მხატვართა კავშირში გაერთიანებული 50 წევრი ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა. მათ შორის არიან უფროსი თაობის წარმომადგენლები, ამჟამად უკვე ცნობილი ოსტატები: ზ. სანაკოევი, გ. კოტაევი, ხ. გასიევი, ვ. კოკოევი, დ. თურმანოვი, ა. ვანეევი, გ. დოგუზოვი, ს. მინასოვი, ნ. კაბისოვი, ა. პლიევი, ა. სანქეროვსკაია, მ. შავლოხოვი, გ. ქელეხსაევა და სხვები. ასევე აქტიურია საშუალო თაობის მხატვართა: ვ. ცხოვრებოვის, ხ. ზასეევის, ვ. კოზაევის შემოქმედებითი საქმიანობა.

1970-80-იან წლებში ოსეთის მხატვართა რიგებს შემატა ახალი, სისხლსავსე ნაკადი ახალგაზრდა მხატვრებისა, რომელთაც პროფესიული განათლება თბილისის სამხატვრო აკადემიაში და რუსეთის სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს. ისინი რეგულარულად, აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკურ, საკავშირო და, არც ისე იშვიათად, უცხოეთის გამოფენებზე, ხშირად მიემგზავრებიან საკავშირო შემოქმედებით სახლებში, სადაც ხვეწენ, იმაღლებენ პროფესიულ ოსტატობას, ეცნობიან მსოფლიო ხელოვნების მიღწევებს, მეტად საჭირო და სასარგებლო კონტაქტებს ამყარებენ საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსულ კოლეგებთან. ახალგაზრდა მხატვართა რიგებში იღვწიან და თანამედროვე ოსური ხელოვნების განვითარებისა და წინსვლის საქმეს თავდაუზოგავად ემსახურებიან ვ. სანაკოევი, ი. ალბორტი, უ. ჯიოშვილი, ა. კოზაევი, გ. გაბარაევი, ს. სანაკოევი, პ. ხასიევი, ზ. კოკოევი, ე. ალბოროვი, პ. გუჩმაზოვი და სხვები.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ჩვენმა ორგანიზაციამ მოაწყო 50-ზე მეტი გამოფენა. პერსონალური გამოფენით თბილისის, მოსკოვის, ორჯონიკიძის, ცხინვალის საზოგადოებრიობის წინაშე წარსდგა საქართველოს დამსახურებული მხატვარი ზ. გასიევი. ამ გამოფენას, უდაოდ, დიდი წარმატება ხვდა წილად. ყოველთვის შესამჩნევია ჩვენი მხატვრების: ზ. სანაკოევის, ვ. ცხოვრებოვის, ვ. ბეკანოვის, რ. ასაევის მონაწილეობა თბილისში გამართულ სხვადასხვა ხასიათის გამოფენებზე. როგორც უკვე ითქვა, არც საზღვარგარეთ ჩვენი მხატვრების გასვლაა იშვიათობა. ასე მაგალითად, ვ. ცხოვრებოვის ნამუშევრები გამოიფინა ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, მონღოლეთში, პოლონეთში; პ. გუჩმაზოვის და ზ. კოკოევისა — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში; უ. კოზაევისა — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

წინ კიდევ ბევრი საინტ მოვლენა გველის. უახლოეს ში სამხრეთ ოსეთის მხატ ორგანიზაცია ქ. თბილისში რთავს მორიგ საანგარიშო ფენას. მომავალი წლისათვ მოსკოვში, კუზნეცკის ხიდზ გეგმილია ოს მხატვართა ნა ვრების გამოფენის მოწყობა.

მაგრამ, გულახდილად ითქვას, რომ მთელი ეს მდ და შინაარსიანი შემოქმედ საქმიანობა ჩრდილშია მოქ ლი, ავტონომიური ოლქის ტურული ცხოვრება სათ ოდ არ შუქდება ადგილ პრესაში, ცხინვალში ამჟამად სებული საგამოფენო დარ რომლის ფართი 70 კვ. მ შეადგენს, ვერ აკმაყოფი ვერავითარ მოთხოვნებს. წელია შენდება სამხრეთ ოს სახელმწიფო მუზეუმი, რო მეოთხე სართულზე მხატ კავშირისა და საგამოფენო ბაზების განლაგება გათვა წინებული. ვერ იქნა და ვერ ვაღწიეთ მხატვართა შემოქ ითი სახელოსნოების მშენ ობის თაობაზე მთავრობის წყვეტილების გამოტანას და განხორციელებას. ყოველივე საგრძნობლად აფერხებს ავ ნომიურ ოლქში სახვითი ხე ვნების შემდგომ წინსვლასა განვითარებას.

ვიმედოვნებთ, რომ ყველა მოჩამოთვლილი სიძნელე ოეს მომავალში დაიძლევა ჩვენს მხატვრებს ცხოვრების შემოქმედებითი მუშაობის ლებით უკეთესი პირობები ქმნებათ.

**ლავრენტი კასო**
სამხრეთ ოსეთის მხატვ კავშირის თავმჯდომარე.

# ქართული კერამიკა — ტრადიცია, სახვითობა

**ქართველ** კაცს, მისი არსებობის მთელ მანძილზე, თან ახლდა თვითშემეცნებისა და სამყაროსთან ღრმა კავშირის დამყარების ისეთი არხი, როგორიცაა ზეგარდმო მომადლებული ნიჭი ხელოვნებისა: ხალხური პოეტურ-ზღაპრული სამყარო, სიბრძნე ფანტასტიკურ სახეებში; სიმღერა-გალობანი, გრძნობადისა და შეუცნობელისადმი ღვთიურად აღვლენილი; ხუროთმოძღვრება, ურყევი სტრუქტურული შეგრძნებით, მიწაში ჩაზრდილი დოლმენებიდან ცად აზიდულ ალავერდის ტაძრამდე; უტყუარი გრძნობა ფერისა გელათის ფრესკასა თუ ხევსურულ ნაქარგში. და აქვე, მარადის გვერდზე მყოფი, ჩუმი, ზოგჯერ მოკრძალებულიც, ბევრგზის გაზზარულ-დამსხვრეული, მაგრამ ყოველთვის ერთგული — ხნოვანი ქართული კერამიკა.

ქართული კერამიკა დიდი განძია ყოველი ჩვენგანისათვის. მასში თავს იყრის იდუმალი ცოდნა ცნობიერისა და ქვეცნობიერისა; ნივთის მოხმარების სწორი შეგნებით დაწყებული, განსახიერებული ყოფითი დანიშნულების ფორმებში და დამთავრებული სამყაროს მისტიური შეგრძნებით — ასტრალური სემანტიკით დატვირთულ ორნამენტ-ნიშნებში რომ ვლინდება.

როგორც მხატვრული ფორმა, ქართული კერამიკა თავისი გამოყენებითი და გამომსახველობითი თვისებებით ოდითგანვე მთლიანობის ნიმუშს წარმოადგენდა. ერთგვარი დუალიზმი, რომელიც ამთავითვე კერამიკული ხელოვნების სათავეში ძევს და გამოყენებითი ფუნქციისა და იერსახოვნების რთულ ურთიერთკავშირში მდგომარეობს, ჩვენს წინაპრებს გენიალური სიმსუბუქითა და ბუნებრივი სილაღით ჰქონდათ დაძლეული. ალბათ დროს მიაქვს ყველაფერი. ოდითგანვე ბედნიერ ქორწინებაში შეკავშირებული, მშვიდობიანი ჰარმონიით შეერთებული ეს ორი თვისება თანამედროვე მხატვარმა ნელ-ნელა დააშორა ერთმანეთს, განაცალკევა და სხვადასხვა გზა მიაგო. ერთის მხრივ, ფუნქციური მაქსიმუმი დიზაინურმა, საწარმოო, სუფთა სამომხმარებლო კერამიკამ იტვირთა; ხოლო გამოყენებითი ფუნქციისგან გამოთავისუფლებულმა მასალამ, რომელსაც უნარი შესწევს ნებისმიერ გამომსახველობით-თვისებრივ კატეგორიად იარსებოს, ფორმის, ფერისა და ხაზის ენაზე იმეტყველოს — სახვითი ამოცანები დაისახა და ამ გზით მიემართება.

სწორედ ასეთმა, „სახვითმა" კერამიკამ იმძლავრა ბოლო ათწლეულში. ეს გასაგებიცაა და ალბათ კანონზომიერიც. თანამედროვე მხატვარ-კერამიკოსის დამოკიდებულებაში შემოქმედებითი პროცესის მიმართ ახალი ტენდენცია გაჩნდა. თავი იჩინა მზარდმა ინდივიდუალურმა აქტიურობამ არა მარტო როგორც მხატვრისა, არამედ როგორც მოაზროვნე მოქალაქისამ, მისმა შინაგანმა მოთხოვნილებამ უფრო მძაფრად ჩაებას სულიერ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თქვას რაც აფიქრებს და აღელვებს; თქვას რაც შეიძლება გამომსახველად, მნახველთან მაქსიმალური კონტაქტის დამყარებით. ალბათ ეს არის ის მთავარი მიზეზი, რომლის გამოც ხშირად კერამიკოსი აღარ იფარგლება უტილიტარული ამოცანებით და ცდილობს საკუთარი განცდის, სათქმელის ექვივალენტური იერსახოვნება შექმნას. სწორია თუ არა ეს გზა, დრო განსჯის.

თბილისში, მხატვრის სახლში გამართულ მორიგ რესპუბლიკურ, სამხატვრო აკადემიის კერამიკის კათედრის რეტროსპექტულ და ბოლო ახალგაზრდულ გამოფენებზე ისევ თვალნათლივ წარმოჩინდა „სახვითი" კერამიკა. შეიძლება ითქვას, რომ იგი უკვე თავისთავად მხატვრულ მიმართულებად ჩამოყალიბდა, რომელსაც გააჩნია განვითარების გარკვეული გზები, გარკვეული ტენდენციები, თავისებურად გამორჩეული მხატვრული მეთოდიც.

მაგალითად, სახვითობის ხასიათის მქონე ნამუშევრებში ხშირია ასოციაციური მეთოდის გამოყენება. ასოცირების, განზოგადების მომენტი ყოველთვის ახასიათებდა სხვადასხვა დანიშნულების კერამიკის სახვით მხარეს, მაგრამ დღეს იგი კომპოზიციის შექმნის საშუალების ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტად იქცა. სწორედ აქ ვლინდება კერამიკის შინაგანი თავისთავადობა, რომელიც ასე ანსხვავებს მის მხატვრულ ენას, მეტყველებას სახვითი ხელოვნების სხვა ტრადიციული დარგებისაგან. ასოციაციის მეთოდი აძაფრებს მასში იმ პოეტიკას, რომელიც კერამიკას აგრერიგად მომადლებული ჰქონდა ყოველთვის, ხდის მას უფრო ღრმასა და ბევრის მთქმელს.

სულ უფრო მეტად იგრძნობა სახვით კერამიკაში ფორმის, სივრცობრივი ამოცანების სახვითობის ხერხებით გადაჭრისკენ ლტოლვა, ჭიქურებითა და სხვა კერამიკული მასალების საშუალებით ფერწერის თვისობრივი სიმაღლეებისკენ სწრაფვა, ხშირია წმინდა გრაფიკული ხაზის გამოყენებაც.

ასეთი განტოტვა ალბათ ამ ეტაპზე კანონზომიერიცაა. მოხდა რა მრავალმხრივი ტექნიკური და სახვითი საშუალებების გამოთავისუფლება, ბუნებრივია, ისინი ცალ-ცალკე ისწრაფვიან საკუთარი თვისებების რეალიზაციისა და სრულყოფისაკენ. მოვა ალბათ დროც, როდესაც ტექნოლოგიური და მხატვრული გამოცდილებით გამდიდრებული, მარავით განშლილი მიმართულებანი ისევ ერთ მთლიანობას დაუბრუნდებიან.

გასახარია, რომ ახალგაზრდა მხატვრების მთელ პლეადაში შეინიშნება შემოტრიალება ძირეული ქართული ტრადიციებისკენ. ტრადიციის გააზრება სხვადასხვა შემოქმედში სხვადასხვაგვარად გვევლინება, თუმცა უმეტესწილად ტრადიციისადმი დამოკიდებულება ჯერჯერობით ანალიტიკურ ხასიათს ატარებს. გვხვდება ლიტერატურულ-ისტორიული, სიუჟეტური თემატიკის მოძიებისა და პლასტიკის ენაზე მოტანის ცდებიც. საცნაური ხდება ქართული ორნამენტისა და ქსოვილების გეომეტრიული სტრუქტურის სივრცობრივ ფორმასთან შეპირაპირების მცდელობაც, ტრადიციული კერამიკის ტექნოლოგიისა და თანამედროვე ფორმადქმნადობის წინააღმდეგობის დაძლევის საინტერესო მაგალითები. ხშირია „ევროპიზებული" თანამედროვე კერამიკის გადმოქართულების შემთხვევებიც. იგრძნობა თანამედროვე ფერწერისა და აღმოსავლური მოტივების გავლენაც. მაგრამ მხატვარ-კერამიკოსებში, განსაკუთრებით ახალ თაობაში, თვალნათლივ ჩანს დაინტერესება ჩვენი მდიდარი წარსულით. შეინიშნება ნდომა მისი ძალდაუტანებლად, ორგანულად გათავისებისა, საკუთარ თავთან გაიგივებისა და ასევე ბუნებრივად გადმოტანისა შემოქმედებით პროცესში — თითქოს ხელშეუვლები, მაგრამ ასე მკაფიოდ არსებული ქართული ხასიათის, მხატვრული კერამიკის გენეტიკის თავისთავადობის, მასალისა და ფორმის თანამედროვე გააზრების მეშვეობით.

გასახარია ისიც, რომ ქართველ მხატვარ-კერამიკოსთა ახალგაზრდა თაობის სულ უფრო მეტ წარმომადგენელს აქვს თავისი შემოქმედებითი ინდივიდუალური ხელწერა. გამოფენიდან გამოფენამდე მათი ნამუშევრები ადვილად „საცნობნი" ხდებიან.

შემოქმედებითი პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი მომენტი კერამიკაში ზოგადად და განსაკუთრებით „სახვით" კერამიკაში მასალის თვისების, მისი უნარის გამოვლენაა. თვით მასალა, მისი ფაქტურა, დამუშავების ხერხი, გამოწვის ტემპერატურა და რეჟიმი — იტევს სათქმელის დიდ ნაწილს. იგი მხატვრულ კატეგორიაში გადადის, ისეთსავე კატეგორიაში, როგორიცაა მანერა, ნახატი და ა. შ.

მასალის სწორი ალღო, მისი ღრმა შესწავლა, მეთოდური ექსპერიმენტული ძიებანი ტექნოლოგიაში ის საფუძველია, რომელზედაც შეიძლება აღმოცენდეს მაღალმხატვრული, სრულქმნილი ნაწარმოები. ამ მხრივ ჯერ ბევრია გასაკეთებელი. ზოგ ნამუშევარში, საინტერესო მიმართებისა და ორიგინალური გადაწყვეტის მიუხედავად, სწორედ ეს მხარე მოიკოჭლებს. იმედის მომცემია, რომ მხატვარი-კერამიკოსები შემოქმედებითი პროცესის ამ მხარეს საკმაო ყურადღებას უთმობენ, თუმცა აქ ყველაფერი მხოლოდ მათზე არ არის დამოკიდებული. ასეთი მიმართებით ძიებას გამართული ტექნიკური ბაზა ესაჭიროება, რაც დღესდღეობით ისევ პრობლემაა.

რაც მთავარია, ყოველივე ამ მრავალფეროვნების უკან ნიჭიერი მხატვრები დგანან, გულახდილნი და მართალნი თავიანთ ძიებებში. მათს ენერგიულ ძალისხმევაში ისიც მოჩანს, რომ გარდამავალი პერიოდი, რომელიც აგერ უკვე მეორე ათწლეულია გრძელდება ქართულ კერამიკაში, მონათლული „ძიების" პროცესად, მალე გადავა ხარისხობრივად ახალ ეტაპზე, დამყარდება უწყვეტი კავშირი წარსულთან და მომავალთან, ისე როგორც ეს 50-იანელებმა მოახერხეს.

დღეს მავანს, თიხის უსასრულო შესაძლებლობების გამოვლენით გართულს, გავარვარებულ ღუმელთან თავის პირმშოს მომლოდინეს, იმდენად აღარ აფიქრებს თუ რას უწოდებენ მას: „მეთუნეს", „მეჭურჭლეს" თუ „მხატვარ-კერამიკოსს". იგი გარემოცული სამყაროთი და ჩაღრმავებული თავის თავში, ცდილობს ივოვოს მისაღები წონასწორობა შეუცნობადის ამოხსნის იმედსა და ამოუხსნელის უეჭველობას შორის, ისევე როგორც ამას მისი წინაპარი აკეთებდა. მას თავისი სატარებელი აქვს, სატკივარი, გასარკვევი თავის თავთან და სამყაროსთან. და კიდევ გრძნობა ერთიანობისა იმ ლეგიონთან, მხატვრები რომ ჰქვიათ, რომელთა ჭეშმარიტ წარმომადგენელთა სამოქმედო სივრცე იმ განზომილებაში ძევს, ზოგადად ადამიანური სიკეთე რომ ჰქვია.

**გია იაშვილი.**

# წინ საპასუხისმგებლო ამოცანებია

**ქუთაისის** მხატვართა კავშირის მუშაობა ძირითადად შემდეგი მიმართულებით წარიმართა: საგამოფენო საქმიანობა, სახვითი ხელოვნების პროპაგანდა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება.

საანგარიშო პერიოდში ქუთაისში მოეწყო 25 პერიოდული და გასვლითი გამოფენა; მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელმაც გარკვეულწილად შეაჯამა ქუთაისის მხატვართა ბოლო წლების შემოქმედებითი მოღვაწეობა. ჩატარდა ახალგაზრდა მხატვრების — თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ნამუშევართა გამოფენა, ტრადიციული საგაზაფხულო გამოფენა, მოეწყო მხატვრების გ. მილორავას, გ. ჩხეტიას, მ. გიორგაძის პერსონალური გამოფენები. ფართო გამოხმაურება ხვდა წილად ფ. ვარლამიშვილის, რ. ფეტვიაშვილის, რსფსრ სახალხო მხატვრის ბ. დეხტერიოვის და სხვათა ნამუშევრების გამოფენებს; საყურადღებოა თემატური გამოფენები პედაგოგიურ და პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში, სკოლებში, ქალაქის საწარმოებში. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქუთაისელმა მხატვრებმა მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე, ქართული სახვითი ხელოვნების დიდ რეტროსპექტულ გამოფენაზე ქ. მოსკოვში და სხვ. მაგრამ საგამოფენო მოღვაწეობის გააქტიურებას თან უნდა ერთვოდეს გამოფენებისადმი ფართო საზოგადოების ინტერესის გაძლიერება, რისთვისაც, ჩვენი აზრით, საჭიროა გამოფენების უფრო მკაფიო დიფერენცირება დარგებისა და ჟანრების მიხედვით, მაყურებელთა აუდიტორიის აუცილებელი გათვალისწინებით, რაც უთუოდ გაზრდის გამოფენების ქმედითობას.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში საგამოფენო კომიტეტის მუშაობა გაცილებით უფრო მიზანსწრაფული გახდა. ნამუშევრების შერჩევის პრინციპულმა, პატიოსანმა, უკომპრომისო მიდგომამ შესამჩნევად გააუმჯობესა გამოფენების ხარისხი. მომავალში საჭიროა კიდევ მეტი სერიოზულობით მოვეკიდოთ საგამოფენო კომიტეტის შემადგენლობის შერჩევას, მისი პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხს.

თვალსაჩინო მუშაობა წარმოებდა ხელოვნების პროპაგანდის თვალსაზრისით. მიმდინარე გამოფენები სისტემატურად შუქდებოდა ადგილობრივი პრესის ფურცლებზე. მომზადდა გადაცემები ქალაქის რადიომაუწყებლობისა თუ ტელევიზიის საშუალებით. რამ საყვედური უნდა გამოვთ მხატვრული კრიტიკის მის თით: მხატვრულმა კრიტიკამ და გადალახოს მის მუშაო არსებული ერთგვარი ინერტ ბა, გახდეს მხატვრული ცხო ბის აქტიური ხელშემწყობი.

საქართველოს მხატვართა შირის ქუთაისის ორგანიზა მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშ ლოვანი უბანია რესპუბლიკა რისი და საერთაშორისო ერთთანამშრომლობის განმტკ ბა. შესანიშნავი შედეგები ამ მხრივ ფერწერის საერთ რისო პლენერების სახით, ლებიც ქუთაისში ეწყობა. მი ნარე წელს განზრახულია მ ყოს მხატვართა მეორე საერთ რისო შემოქმედებითი შეხვ პლენერზე ჩამოვლენ მხატ ფერმწერები მოძმე რესპუბ ბიდან, მოსკოვიდან, ლენინგ დან, ქუთაისთან დაძმობილებ ქალაქებიდან, სოციალისტური ყნებიდან.

ჩვენი ქალაქის მხატვართა ნაშე დიდი და საპასუხისმგ ამოცანები დგას. უნდა გად ხოთ გამოფენების კამერულ მეტი სოციალური და ესთეტ აღმზრდელობითი ფუნქცია კისროთ მას.

სერიოზული მუშაობა უნდ ტარდეს მხატვართა ორგანი ის სხვა შემოქმედებით გაე ნებებთან თანამშრომლობის ტკიცების მიზნით, მხატვართა რო აქტიური მონაწილეობით ნუმენტური პროპაგანდის ამ ნების ქმედითად გადაწყვე თვის.

იმედს გამოვთქვამთ, რომ თაისის მხატვართა ნიჭიერი, მისმოყვარე, შემოქმედებითი ლექტივი ღირსეულად გაართ თავს მის წინაშე დასახული გორც შემოქმედებითი, ასევე ზოგადოებრივ-ორგანიზაციუ ამოცანების წარმატებით გად ვეტას.

**ზურაბ თოდ**

# სირთულეების მიუხედავად

**ის,** ვინც თვალს გაადევნებს ქართული ეროვნული სახვითი ხელოვნების ზრდას და პოპულარობას, უსათუოდ დაინახავს, რომ ქართველ მხატვართა მიღწევები დამსახურებულად არის საყოველთაოდ ცნობილი არა მარტო კავშირის მასშტაბით, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ყველა თავისუფლებისმოყვარე ერი თავისი კულტურული ცხოვრების ამაღლებისას, მაშინ, როცა ავითარებს თვითმყოფადობას; მოითხოვს მრავალ სხვა ხალხთან სიახლოვეს, მის სულიერ სიმაღლეებთან მისვლას. საქართველო, ქართველი ერი ბევრთან მისულა და ბევრიც მოსულა ჩვენთან სიკეთისა და მხარდგომის ძებნაში.

ცხრა წელია, რაც თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ხელოვნების მოყვარულებისათვის არსებობს ცენტრალური მხატვრის სახლი, რომელიც მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ემსახურება საბჭოთა და მსოფლიო ხელოვნების პროპაგანდას, ეწევა რთულ შემოქმედებით, ორგანიზატორულ საქმიანობას.

ცენტრალური მხატვრის სახლის გახსნას თბილისში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო მხატვრებისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის. მისმა საგამოფენო დარბაზებმა საშუალება მისცა მხატვრებს გამოეფინათ თავიანთი ნაღვაწი როგორც პერსონალურ, ისე ჯგუფურ გამოფენებზე, ხოლო ჩვენი საზოგადოება კი უკეთ გაცნობოდა თანამედროვე ხელოვნების საინტერესო, ნიჭიერ წარმომადგენლებს, ობიექტურად შეეფასებინათ მათი შემოქმედება, შექმნოდათ სწორი წარმოდგენა დღევანდელ ეროვნულ ხელოვნებაზე. მხატვრის სახლის გახსნის კიდევ ერთი დადებითი მხარეა ის, რომ მხატვრებს საშუალება მიეცათ ხშირად მოაწყონ გაცვლითი გამოფენები მოძმე რესპუბლიკებში თუ საზღვარგარეთ. ცენტრალური მხატვრის სახლის დარბაზებს ხშირი დამთვალიერებელი ჰყავს ბავშვების, სამხედრო მოსამსახურეების, უცხოელი ტურისტების სახით, რომლებიც ხშირად ითხოვენ „მრგვალ მაგიდასთან" შეხვედრას და ქართველი მხატვრების გაცნობას:

რიცხობრივად თბილისის ცენტრალურმა მხატვრის სახლმა 1987 წელს მოამზადა ადგილობრივი და რესპუბლიკის თუ კავშირის სხვადასხვა საგამოფენო დარბაზებში 65 გასვლითი გამოფენა. გამოსცა დაახლოებით 35 კატალოგი; მოაწყო სამეცნიერო კონფერენციები, გამოფენების განხილვები, გაიმართა შემოქმედებითი შეხვედრები, ხსოვნის საღამოები; ჩატარდა ლექციები, ლექტორიუმები; კვირაში ორჯერ მიმდინარეობდა მხატვრული ფილმების დემონსტრირება.

გასულ, 1987 წელს მოეწყო ორი დიდი რესპუბლიკური გამოფენა: საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრებისა და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი.

დიდი ხანია ტრადიციად იქცა „ხალხთა მეგობრობის" ციკლის გამოფენათა მოწყობა ჩვენი რესპუბლიკის საგამოფენო დარბაზებში, განსაკუთრებით კი თბილისის ცენტრალურ მხატვრის სახლში. ეს გამოფენები ხომ ერთ-ერთი ხელისშემწყობი პირობაა სხვადასხვა ერონვნების ხალხთა კულტურული ურთიერთობის გაღრმავებისათვის.

1987 წლისათვის მხატვრის სახლში წარმოდგენილი იყო ამ ციკლის 8 გამოფენა: ა. შმარინოვი, გ. მანტკავა, ტ. კატი, ს. ლოპუხოვა, დ. კიროვი, ი. იირა, დ. მილოშევიჩი, ა. პეტროსიანი.

გაგრძელდა რეტროსპექტული გამოფენების ციკლი, ამჯერად, გრაფიკასა და ქანდაკებაში.

მოეწყო ახალგაზრდა აჭარელი მხატვრების ნამუშევრების საშემოდგომო გამოფენა. არ შეიძლება არ გამოვყოთ მხატვრის სახლთან არსებული ფერწერის სახელოსნოს 5 ახალგაზრდის — ლ. ლაღიძის, გ. მანჯავიძის, შ. მატუაშვილის, ნ. ბადურაშვილის, ჯ. კუხალაშვილის ჯგუფური გამოფენა, სადაც ნათლად გამოჩნდა ამ ახალგაზრდების ინდივიდუალური აზროვნება, ხელწერა, მათი პროფესიონალიზმი და მაძიებლური ბუნება.

ვ. გაბუნიას მიერ შექმნილმა პორტრეტულმა გალერეამ დამთვალიერებელთა დიდი ყურადღება მიიქცია. მრავალმხრივია ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედება. იგი დაზგური ფერწერის ყველა ჟანრში მუშაობს. გარდა პორტრეტებისა, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ნატურმორტები, პეიზაჟები, თემატურ-სიუჟეტური კომპოზიციები, რომლებიც გამოირჩეოდნენ სამეტყველო ენის ლაკონიურობით.

გ. მირზაშვილის პერსონალურმა გამოფენამ დაგვანახა როგორი მომთხოვნია მხატვარი თავის თავისადმი. მის ნამუშევრებში იგრძნობოდა შინაგანი დაუკმაყოფილებლობა მხატვრული ამოცანის გადაწყვეტისადმი, მომთხოვნელობა, სიწრფელე, სწრაფვა პროფესიული სრულყოფისაკენ.

ვრცელი იყო გასული წლის საგამოფენო გეგმა. ბევრმა გამოფენამ მიიქცია საზოგადოების ყურადღება. აღსანიშნავია: ლადო ქოჩიაშვილის, გია მარკოზაშვილის, ჯემალ კუხალაშვილის, ამირ კაკაბაძის, ცირა კალანდაძის, გურამ პაპინაშვილის, შოთა ჩლაიძის, ზურაბ გოგოლაძის, ნუკრი ხუციშვილის, ვალერი ბოიახჩიანის, ბორის ტულუშის და სხვათა პერსონალური გამოფენები.

ცენტრალური მხატვრის სახლში ფუნქციონირებს მოძრავი გამოფენების სექტორი, რომელმაც 1987 წლისათვის 20 პერსონალური თუ ჯგუფური გამოფენა მოაწყო დედაქალაქის, რესპუბლიკის და კავშირის საგამოფენო დარბაზებში. აღსანიშნავია: გ. ქემოკლიძის პერსონალური გამოფენა ტყიბულში, ცხაკაიას გალერეამ უმასპინძლა მ. უჯმაჯურიძის, ს. ართმელაძის გამოფენებს, საჩხერეში წარდგენილი იყო მ. იაშვილის ნამუშევრების გამოფენა და მრავალი სხვა.

გარდა საგამოფენო მუშაობისა, ცენტრალურ მხატვრის სახლში ფუნქციონირებს ბავშვთა სტუდიები, ხატვის კლასი, სახელოსნოები პროფესიონალი მხატვრებისათვის ფერწერასა და გრაფიკაში.

**ქეთი ახობაძე,**
მხატვრის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ რობაქიძე

# ნიკო ფიროსმანი

[illegible]

...ექსპრესიით მოქმედებს: როგორც დიდი ლოდი, როგორც წყარო მაგარმუხლიანი, როგორც რტოები ირმის რქებისა. უკვდავი ჰომეროს: მარადი ბავშვი და მარადი საწაულმოქმედი. ველურის მიერ ამოჭრილი შველი თუ მამონტი თევზის ძვალზე — აი პირველი ავარდნა ქმედითი თრობის. ცხადია, ევროპის ხელოვნება მოწყურებული დაეწაფებოდა ამ ნიადაგის თაურებს.

ამაში არ უნდა ვხედავდეთ „უკან დახევას". აქ უფრო „სიმბოლოა", ვიდრე რეალობა. არც იმას უნდა ვხედავდეთ აქ, თითქო ეს „მოყირჭება" იყოს: შავი პური თეთრი პურის შემდეგ. აქ სრულიად სხვა ფენომენია: ნდომა უკანასკნელი გულახდილობის და მსოფლიოში ველურად გადნობის: ბოლოს და ბოლოს — ნდომა უკანასკნელი მთელობის.

ასეთია პრიმიტივიზმის ხაზები.

მის გაძლიერებას არქეოლოგიურ აღმოჩენებმაც შეუწყვეს ხელი, განსაკუთრებით — კრიტოსის აღმოჩენებმა. კრიტოსის კულტურა, ევანსის აღმოჩენათა შემდეგ, შთაგონების უშრეტ წყაროდ გადაიქცა ევროპის ხელოვნებისათვის. განა გამოუთქმელი სიხარული არ იქნება, იხილო თვალის-მომჭრელი სამაჯური, რომელიც, ვინ იცის, ათას წლების უკან რომელიმე წარმართ ქალღმერთის თლილ ხელს ამშვენებდა. კრიტოსის კულტურის ნაშთი, რასაკვირველია, არ არის ისეთი სისრულის, როგორც პრაქსიტელის ჰერმეს, მაგალითად, მაგრამ მასში ბავშვის ხელი, უდარდელი და სწორი, ზეკაცით არის მოქნეული, ეს კი ყველაფერია. კრიტოსის ვაზაში ჩამოსხმულია მატყვევებელი დენა ქმედითი ძალის: მის ხაზებში მოსჩანს ძველი ეგვიპტეცა და გადასული ელადეაც. თვითონ კრიტოსი გადარჩენილ ახალშენად ივულვება კატასტროფიულად დაღუპულ ატლანტიდისა. ეს კიდევ უფრო ამახვილებს მის ჯადოსნობას.

ნიკო ფიროსმანი პრიმიტივისტია: არა იმ აზრით, როგორც, მაგალითად, გოგენ. იგი თვითონ არის პრიმიტივი. მას არ გაუვლია რომელიმე სკოლა. საეჭვოა, რომ მას რაიმე ტექნიკა გაევლოს ხატვისა თუ ხაზვის. იგი იყო უბრალო და ნათელი. მოუსმინეთ ერთ მესარდაფეს: „ნიკალა იყო პატიოსანი კაცი მეტად, უბინაო, ავადმყოფი, ღარიბი. ბევრჯერ მიჭმევია საწყალისათ-

[illegible]

მიწის „დედობა". დღეობა, ღრეობა, ყურძნის კრეფა, ქათმები, ბავშვები, ცხოველები, კალო, — აქ არის მხატვარი ფიროსმან. აქ არის მოცემული ნამდვილი ქართული ტემპერამენტი: ხალასი მზით დაფერილი, აქ თქვენ ძვირად ნახავთ მელანქოლიას. აქ მხოლოდ სიცოცხლეა: ხალისით, გულახდით, ნადიმით. ფიროსმან ქართული ყოფის ეპიური თვალია. აქ თვალის მზერამ მოგვცა დიდი და შესანიშნავი ტილოები. „ყურძნის კრეფა" სურნელოვანია საწნახელის სურნელით. აქ ყველაფერია: კრეფა, წურვა, ლხინი. სურათს ამთავრებს ბავშვი დათვის ბელით. უკანასკნელი ხაზი კიდევ უფრო ამახვილებს სურათში მოცემულ მიწის პირველყოფას და მის ბავშვურ ათამაშებას. ამავე რკალს ეკუთვნის მისი „ქორწილი კახეთში". კიდევ უფრო შესანიშნავია მესამე ტილო: „ღრეობა". კომპოზიციის მხრით ეს სურათი თითქმის ყველა მის სურათებზე უმძლავრესია და ურთულესი. ურმებით მოსვლა — ციხე — ეკლესია — ქეიფი. ყველაფერი ერთი რკალით არის მოშვილდული. მინდა კიდევ ავნიშნო მისი ტილო „დიდი მარხვა". საგულისხმოა, რომ მხატვარს ლოცვა ბუნების შუაგულში აქვს გადატანილი. ლოცვა გაშლილ ჰაერში მოწმობს ფიროსმანის ერთგულებას მიწის მიმართ. აღსანიშნავია ორი პატარა ბავშვი: ერთი ხელებაპყრობილი და მეორე პირქვედამხობილი. მლოცველთა ამ პატარა დეტალს შეაქვს მძაფრი ექსტაზი. შედევრია უცილო.

ხოლო ფიროსმან „ქალაქელიც" არის: ამ სიტყვის, როგორც საერთო, ისე „ტფილისური" მნიშვნელობით. ვიზიონერსა და განმარტოებულს და არაყის მსმელსა „სამიკიტნო" უყვარდა. აქ ნახა მან ტფილისის ბოჭემა კინტოს ლხენაში. რასსიული სხვადასხვა ხაზია კოლორიტიან ყარაჩოღელში. ალბად ეს თუ „აწვალებს" მას. თითქო უდარდელია, მაგრამ მაინც რაღაც აწუხებს. ქეიფი, როგორც ერთგვარი არტისტიზმი, დამახასიათებელია ამ უცნაურ კასტის. ფიროსმანის კინტოების სერიები დაუვიწყარია თავისი ექსპრესიით და უცნაური

[illegible]

ლაზე უფრო იხატება ხილში და მწვანილში. შესაძლოა ამ ფაქტმა წარმოშობა ფიროსმანის „ნატურმორტები". ერთს რკალში: ხელადა, ტიკჭორა, ყანწი, ბოთლი, კიტრი, ყველი, მწვანილი, ჭიქა, მწვადი, ხილი, თევზი. ნატურმორტებში სჩანს ფიროსმანის უდიდესი ტექნიკური მიღწევა. ერთი მათგანი (საკუთრება მხატვრის კირილ ზდანევიჩის) ფორმალური სისრულის მხრით არ ჩამოუვარდება არც ერთს ნატურმორტს თვითონ სეზანისას. მაგრამ, რაც უფრო საგულისხმოა, ფიროსმანს აქვს არა მარტო „კვდარი ნატურა", არამედ „მოკლული ნატურაც". აქ არის ნიუანსი. ფიროსმანი იძლევა რაღაც ახალს. ნატურმორტებს საერთოდ ახასიათებს სიკვდილის სურნელი. ფიროსმანის ნატურმორტები სუფრაა მხოლოდ, რომელიც მოელის მოქეიფეთ. თუმცა ის სევდა აქაც არის, რომელიც უჩინრად ეჭრება ხოლმე ყოველ ლხინს. მაგრამ „მოკლულ ნატურაში" ფიროსმან იძლევა უდიდეს „საცოდაობას". სრულებით ფენომენალურია ამ მხრით მისი „აღდგომის კრავი" (სხვადასხვა ვარიაციით). „საცოდაობა" აქ იწვევს უზენაეს სიყვარულს. ამ სურათის ხილვის შემდეგ გეცოდება ყოველი და გიყვარს ყოველი. პირადად ჩემთვის, როგორც პოეტისათვის, „აღდგომის კრავი" სამუდამოდ დაუვიწყარი დარჩება.

ფიროსმანს უყვარს მეტად ცხოველები. აღსანიშნავია „ჟირაფი": უფხო, მედიდური, სხვა გონებით სავსე თვალები, ბოლოს და ბოლოს საშიშარი. „დათვი ბელებით": არის მოცემული სითოვლე. „დათვი მთვარიან ღამეში": უმაგალითო პეიზაჟი, დათვი, შეჩერებული წაქცეულ ხეზე, თითქოს უეცრად გაღვიძებული სომნამბულა და ძარღვებშეშინებული. „ირემი" — ორი ვარიანტი, — განსაკუთრებით პირველი, გადაჭრილ ხის გვერდით: საკვირველია ერთი დეტალი: ირემს უნებლიეთ გავა ოდნავ ჩამოჭრილი აქვს. კიდევ უფრო საგულისხმო: ირემი თითქოს ხისაგან არის გამოჭრილი, მაგრამ იმავე დროს უმძაფრესი სიცხოველითაა შეკუნთული ცხოველ არსებად. ეს „შეკუნთვა" ისეთი ძალით



არის მოძაბული, რომ მთელი ირემი თითქოს ხტომაა მარტო. ფიროსმანს აქვს კიდევ მესამე ირემი — ხატულა: უჩვეულო სევდით ავსილი თვალები. „ვირი დატვირთული": შეშა-ტვირთი მაგარი ტექნიკით არის დახატული. ვირის მზერა და საპასუხო ცქერა ბიჭისა — აქ ნატეხია მთელი ეპოსის. „აქლემი", რომელიც სპარსელს მიჰყავს დატვირთული: საოცარია გახუნებული ფერი და სიდიადე აქლემის. „კრუხი და ბავშვი": შესანიშნავია წიწილების სიცხოველე.

ფიროსმანი იცნობს ლანდშაფტებსაც. აღსანიშნავია ერთი შედევრი: ორი რიგით ხეები, ყურძნის მტევნებით დატვირთული, შუაგულში დიდი ჭერი, უკან სახლი, იქით კი — სინათლის ღელეები თითქოს მომსქდარი. ნათელი ფიროსმანი ამ სინათლეშია ბოლომდის.

ასეთია: ფიროსმანი: „ველური" და ბავშვი. მის პრიმიტივში მოცემულია „უშუალობა" თითქმის აბსოლუტური. ეს არ არის ფრაზა. ეს ონტოლოგიურ ფაქტად მეჩვენება. ფიროსმანის ქმნილი ნატეხია ბუნების. მასში, ასე ვთქვათ, ჩამოსხმულია თვითონ შთაგონება. იგი სხეულია უკანასკნელის. შთაგონებასა და სხეულყოფის შორის მანძილი არ არის: ასე ძლიერია მხატვრის შთაგონებულობა. ფიროსმანის აკულტურობას და მის ტექნიკურ უხერხულობას თითქმის ველარც ამჩნევენ. ხედავ მხოლოდ რომელიღაც უმაღლეს სიმართლეს. ფიროსმანის ნახატები ბუნებურობის ფაქტებია: წყაროს თვალი თუ ირმის ჩლიქი. ჭეშმარიტად. გენიალური, ბარბაროსია იგი ბავშვის ქალწულური სულით.

ორი სიტყვა ფიროსმანის სალებავებზე. იგი უმეტეს წილ მუშამბაზე ხატავდა. აქედან თავისებური ფიროსმანური აფერვა (მხატვარ დ. შევარდნაძის მართალი შენიშვნით). შესაძლოა: აქ უნდა ვეძიოთ ფიროსმანის სიყვარული ჭაობის ფერებისა.

უცნაურია თვითონ ხვედრი მხატვრის: თითქოს იგი კი არ მოკვდა, არამედ დაიკარგა. თითქოს მისთვის, რომ მისი ხატული „უსახელოდ დარჩენილიყო, როგორც ყოველი ნაშთი დიდის პრიმიტივისა.

ხიდავ ფიროსმანს — და გჯერა საქართველო.

# მომხიბლავი გამოფენა

25 მარტს ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში გაიხსნა მცირე პლასტიკის უჩვეულო გამოფენა. იგი მართლაც რომ უჩვეულოდ გამოიყურება, ვინაიდან ჩვენ შევეჩვიეთ ქანდაკების ხილვას გამოფენებზე, სადაც იგი მეტწილად ფერწერის ან გრაფიკის დანამატს წარმოადგენს; აქ კი ყველაფერი მხოლოდ ქანდაკებას ემორჩილება, ქანდაკების კანონებით ცოცხლობს და სუნთქავს.

ორიგინალურია, შეიძლება ითქვას, მოულოდნელიც გამოფენის ექსპოზიცია, რომელიც ძირითადად დარბაზის ცენტრშია განლაგებული. სხვადასხვა სიმაღლის, ზოგ შემთხვევაში ჯგუფ-ჯგუფად, ზოგჯერ კი ცალკე მდგარი კვარცლბეკები, რომლებზეც ნამუშევრებია მოთავსებული, ერთგვარ ლაბირინთს ქმნის. მას მსუბუქად, შეუდაუტანებლივ შევყავართ მოზარდთა პლასტიკური შემოქმედების გასაოცარ სამყაროში. (ექსპოზიციის ავტორია გალერეის დირექტორი ავთანდილ კუზიანი-ძე).

მრავალფეროვანია და შთამბეჭდავი მხატვრული სახეები, ბავშვთა პლასტიკური აზროვნება რომ ქმნის: პორტრეტები, ანიმალისტური გამოსახულებები, შიშველი ნატურა, მცირე დეკორატიული ფორმები, მედლები და ბარელიეფები. მთავარი ისაა, რომ გამოფენაზე იშვიათად ნახავთ განმეორებებს; ბავშვები გუმანით კარგად გრძნობენ, რომ განმეორება ხელოვნებაში მოსაწყენია და უინტერესო, რომ იგი აღარიბებს ჩვენს წარმოდგენას სიკეთეზე, სიხარულზე, მშვენიერებაზე. ამიტომაცაა, რომ ისინი ხშირად ქვეცნობიერად ისწრაფვიან ცხოვრებისეული მოვლენები აღბეჭდონ მთელი თავისი მრავალფეროვნებით, უშუალოდ და გულწრფელად, ხალისით გადმოსცენ თავისი დამოკიდებულება ადამიანების, ცხოველების, საერთოდ, ცხოვრების მიმართ, საკუთარი, უშუალო შთაბეჭდილებებისა და განცდების საფუძველზე შექმნან რეალური, ამავე დროს, საოცრად ფანტასტიკური სამყარო.

გამოგიტყდებით, გამაოცა ზოგიერთი ნამუშევრის ავტორის დასრულებულმა კომპოზიციურმა აზროვნებამ, მოცულობათა ჰარმონიამ, ფორმის ცოცხალმა პულსაციამ.

გამოფენაზე მოსულ ადამიანს იპყრობს მარადიული მასალის — ბრინჯაოს, მარმარილოს — ილუზია. სინამდვილეში ყველა ნამუშევარი თაბაშირშია ჩამოსხმული, თანაც ჩამოსხმული და ტონირებული თვით პატარა ავტორის მიერ.

ყოველივე ეს მეტად საინტერესო ექსპერიმენტის შედეგია, რომელსაც ორი წელია ანხორციელებს თბილისის მხატვრის სახლთან არსებული ბავშვთა ქანდაკების სტუდია ნიჭიერი ახალგაზრდა მოქანდაკის მარინე ივანიშვილის ხელმძღვანელობით. სტუდიაში ერთდროულად მუშაობენ სხვადასხვა ასაკის ბავშვები: 7-დან 17 წლამდე. „მიუხედავად ასაკობრივი განსხვავებისა, სტუდიაში მტკიცედაა დამკვიდრებული კოლეგიალური შემოქმედებითი თანამშრომლობის პრინციპი. ბავშვები ეუფლებიან ქანდაკებას, ამასთან ერთად ეცნობიან ტექნოლოგიურ „სამზარეულოს", სწავლობენ მასალასთან ურთიერთობას, ჩამოსხმას, ტონირებას, მასალის იმიტაციას და სხვა", — გვიამბობს მ. ივანიშვილი. მისი სტუდიის 25 ბავშვიდან გამოფენაზე მონაწილეობს 16. გამოფენილია 60-მდე ნამუშევარი.

მაგრამ გამოფენაზე სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მეზობელ დარბაზში ექსპონირებულია მცირე პლასტიკის თითქმის ამდენივე ნიმუში, შესრულებული ტერაკოტაში, შამოტში, პლასტილინში. ამ ნამუშევრების ავტორები არიან: თბილისის პიონერთა სასახლის ქანდაკების წრის მოსწავლეები (ხელმძღვანელი — მოქანდაკე ზაქრო კრაწაშვილი), რკინიგზელთა კლუბთან არსებული ქანდაკების წრის წევრები, სურამის სკოლა-ინტერნატის ქანდაკების წრის მოსწავლეები (ხელმძღვანელი — სოსო გოცაძე), ლენინგრადელი, კიეველი, ტალინელი სტუმრები.

ბავშვთა შემოქმედებასთან შეხვედრა ყოველთვის ამაღელვებელია და საინტერესო. იდუმალებით სავსე, მომხიბლავი და უშუალო სამყარო ნორჩებისა მუდამ გვანცვიფრებს და გვიზიდავს. ასე იყო ამჯერადაც, ბავშვთა სურათების გალერეაში გამართულ მცირე პლასტიკის გამოფენაზე.

ნათელა ლოლუა

• • •



სურათზე: მცირე პლასტიკის გამოფენა ბავშვთა სურათების გალერეაში.

# პოზიციის შესახებ

როდესაც თვალს გადაავლებ მთელი წლის შემოქმედებით ცხოვრებას, ყოველთვის გრძნობ, რომ ...თქმული ბოლომდე მაინც ვერა თქვი და, რაც მთავარია, ძალზე ბევრი რამ სამომავლოდ გამოსასწორებელი და განსახორციელებელი გაქვს.

ვფიქრობ, ახლაც ასეა, როდესაც ვცდილობთ ყოველივეს თავი მოვუყაროთ და ერთგვარი ანგარიშით წარვდგეთ საკუთარი გონების, სინდისისა და პატიოსნების წინაშე.

ძალზე დიდი სიფრთხილე მართებს მხატვარს, თავისი მორალური ბუნება, შინაგანი სახე რომ არ დაიმახინჯოს. მართლაც, წარმოუდგენლად დიდი ცდუნების წინაშე დგას მისი ინდივიდუალობა. ხშირად ხდება ისე, რომ მხატვარი არც კი ფიქრობს თავის მორალურ სრულყოფაზე და მხოლოდ ტექნიკურ თუ ფორმალურ პრობლემათა გადაწყვეტას ლამობს თავის ნაწარმოებებში.

მე ძალზე შორსა ვარ იმ განზრახვისაგან, რომ ვინმეს მორალი ვუქადაგო, ან რაიმე ვურჩიო; მთავარია, გაირკვეს და გამომჟღავნდეს ის ძირითადი მამოძრავებელი ტენდენციები, რომლებიც წარმართავენ ჩვენს მხატვრულ პროცესებს. ამიტომაც მნიშვნელოვნად მესახება მეორე მომენტისა თუ ფაქტის არსებობა, რომელიც მხატვარ-შემოქმედის მორალურ ბუნებასა და მის ეთიკურ მზადყოფნაში არ იღებს სათავეს. ეს მეორე მომენტი თუ ფაქტი არის აზროვნე, ხაზგასმით მოაზროვნე მხატვარი.

აზროვნება მორალისტ მხატვარშიც იგულისხმებოდა, მაგრამ ეს მეორე ფაქტი, მეორე მაგალითი სწორედ რომ განსხვავებული პრობლემის წინაშე გვაყენებს. უფრო ზუსტი რომ ვიყო, ვიტყვი, რომ მოაზროვნე მხატვარი თავის წყობით შთაბეჭდილებებს გარე სამყაროდან არ იღებს და არც მისი შემოქმედებით ქმნის რაიმეს; იგი თავის ძირითად პრინციპებზე დგას და თითქმის შეუვალია გარეგანი მოვლენებისათვის. მასთან დომინირებს და აქედან კულტივირებს აზრის, სუფთა, კრისტალური აზრის საწყისი, ყოველგვარი პიროვნული, სუბიექტური მინარევისაგან განწმენდილი.

თუკი დასაშვებად მივიჩნევთ ზემოაღნიშნული ორი განსხვავებული ტიპის მხატვრის არსებობას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მორალისტი მხატვარი ხაზგასმით ემოციის, განცდის მხატვარია. იგი ეყრდნობა იმ შთაბეჭდილებებს, რომლებიც მის ემოციურ, და ამავე დროს, იმპულსურ ბუნებას და ხასიათს აძლევს სტიმულს მოქმედებისათვის. რაღა თქმა უნდა, ამ დროს მხოლოდ ერთმნიშვნელობასთან არა გვაქვს საქმე, და ეს პოლარობა არც ისე სქემატურია, როგორც ჩანს. აქ მრავალი ქვეშრე თუ შუალედური მდგომარეობაა, რომელთა გაანალიზება ცალ-ცალკე დიდძალ შრომასა და ფიქრს მოითხოვს.

თუ კარგად დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ დღევანდელი მორალისტი მხატვარი მასალის არსიდან, მისი ფაქტურისა თუ ქღერადობის თვისებებიდანაც იკვებება. განსხვავებული მდგომარეობაა პოზიციის, აზროვნების დომინანტის მატარებელ მხატვართან: იგი მთელი არსებით ცდილობს დაიმორჩილოს მასალა და მას თავისი გამძაფრებული ინდივიდუალური ნებელობით ეუფლება, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს ამას.

ამ პოლარობაზე ოდითგანვე მსჯელობდნენ და მიუთითებდნენ. ყოველი ეპოქა შეძლებისდაგვარად ცდილობდა მის ახსნა-დახასიათებას და მათ კონკრეტულ ფუნქციებს უფრო აყალიბებდა და აზუსტებდა. შორს რომ არ წავიდეთ, მოვიხმობ ამ პოლარობის რამდენიმე ძირითად სახელს. ესენია: აპოლონური და დიონისური ან პლატონური და არისტოტელური. აზროვნების — პლატონური, ხოლო მორალის — არისტოტელური საწყისი ძირშივე გამსჭვალავდა თითქმის ყველა შემოქმედებით პროცესს. აქ ხაზი იმასაც უნდა გაესვას, რომ იდეალურ შემთხვევაში მათი შერწყმა შესაძლებელი ხდება ხოლმე თვით ნამუშევარში. ამ საკითხზე მე ზემოთაც მივუთითე, როდესაც აზროვნების, მოაზრებული პოზიციის თვით მორალურობაზე ვსაუბრობდი, ე. ი. **როცა აზროვნება — მორალური ხდება.**

რაც შეეხება ემოციას, იმპულსის ხელოვნებას, აქ ჭეშმარიტად დომინირებს სადღაც მიღმეულში ჩამარხული კანონი, რომელსაც მე მორალს ვუწოდებ!

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: პოლ სეზანი და ვინსენტ ვან გოგი. პოლ სეზანი — პოზიციის, აზრის საწყისის მხატვარია. რა თქმა უნდა, მისი პოზიცია მისსავე ინდივიდუალობაში იღებს სათავეს, ხოლო მხატვრობა დემატერიალიზაციისაკენ მიისწრაფვის. ვინსენტ ვან გოგი — ემოციის, გრძნობის, მასალის მორალისტი მხატვარია. ამიტომ იგი თავის ნაწარმოებებს უშუალოდ მუშაობის დროს შემეცნებს და შეისწავლის; მასალიდან სწავლობს, ოღონდ პირველადი თვით ემოციური მუხტია, ასე რომ, თუ დასაშვებად მივიჩნევთ ჩემეულ დაყოფას, სეზანი პლატონური, ხოლო ვან გოგი. — არისტოტელური საწყისის მხატვარი გახლავთ.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მათი საუკეთესო ნამუშევრები ამ ორი პოლარობის ერთგვარი ნაერთია. კარგად შემუშავებული სააზროვნო პოზიცია თავის მაქსიმალურ განხორციელებაში მხოლოდ აზრობრივ სქემად არ რჩება და მასალაში მშვენივრად ამჟღავნებს თავის თავს. ასევე, პირიქით, მასალის არსიდან ამოზრდილი ინტუიტური ხატი, თუკი მისი სახიერება ჭეშმარიტად მორალურია, აქედან კი — გულწრფელი, მაშინ მასში სააზროვნო მოტივიც, აზროვნებითი პოზიციაც იკვეთება.

სწორედ ეს პოლარობა მოქმედებდა და მოქმედებს ჩვენშიც. თავს უფლებას ვაძლევ ორ ქართველ მხატვარს შევეხო. ესენია: დავით კაკაბაძე და ლადო გუდიაშვილი. აქ არ ღირს საუბარი იმაზე, თუ რამდენად მოქმედებს მათში ტრადიცია, თემა თუ საყოველთაოდ შემუშავებული მოტივი. ეს საკითხები ცალკე მსჯელობის საგანია.

უნდა აღინიშნოს, რომ აზროვნებით პლატონური პოზიცია ერთგვარად რაციონალური ხასიათისაა; იგი ქმნის სააზროვნო კონსტრუქციას და ამ კარკასზე აგებს თავისი ხელოვნების ხატოვანებას. ამ შემთხვევაში ვიტყოდი, რომ დავით კაკაბაძე პლატონური წყობის მხატვარია და სრულყოფილად განასახიერებს ამ ტიპის აზროვნებას მხატვრობაში.

ლადო გუდიაშვილი კი მორალისტი, არისტოტელური წყობის მხატვარია და თავისებურად აღქმული სამყაროდან იკვებება. მისი ხელოვნება ეტაპებად იყოფა, მაგრამ არა აზრობრივ-პოზიციური მნიშვნელობით, არამედ სიმპათიაანტიპათიიდან გამომდინარე. ეს თავისთავადი მხატვრული სამყაროა.

აქ უნდა დავსძინო, რომ ამ ორი პოზიციიდან ერთი გზას განასახიერებს, მეორე კი — თვითქმარ ფენომენს. როგორც წესი, პლატონური ხელოვნება ცდილობს შეიმუშაოს სააზროვნო სამომავლო ორიენტაცია; განავითაროს და სრულყოს არსებული ფორმები, კვლავ და კვლავ საკუთარი შინაგანი აქტივობიდან გამომდინარე.

მე, მგონი საჭირო არ არის ბევრი საუბარი იმაზე, თუ როგორი დიდი სააზროვნო იმპულსები მოიტანა სამომავლოდ საერთოდ პოლ სეზანის მხატვრობამ და დავით კაკაბაძის მოღვაწეობამ ჩვენში.

ვფიქრობ, მომავალში ეს აზროვნებითი პოლარობა კვლავ ჰპოვებს თავის გამოხატულებას, რადგანაც უახლოეს თაობებამდე ამის მრავალი მაგალითი გვქონდა. და თუ იმაზეც შევთანხმდებით, რომ ჩვენი ბოლო პერიოდის მხატვრობის ძირითადი მოთხოვნილება სწორედ გაცნობიერებისა და შემეცნების სურვილია, მაშინ გასაგები ხდება ის დიდი ინტერესი, რომელსაც დღეს ჩვენში იწვევს დავით კაკაბაძის ხელოვნება.

და ბოლოს, მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ მხატვართა მეორე საკავშირო პლენუმზე ანდრეი ვოსნესენსკიმ ძირითადად სწორედ კრიტიკაზე და ხელოვნებათმცოდნეობაზე ისაუბრა და აქტივობა მოითხოვა მათგან. მან გვირჩია, კარგად გაგვერკვია და შეგვესწავლა ის უხვი და მდიდარი გამოცდილება, რომელიც დაგროვდა ისტორიული ეპოქების განმავლობაში; მიგვეცა მისთვის სათანადო, დღევანდელი აზროვნებისათვის დამახასიათებელი ზუსტი დასაბუთება, რადგანაც ეს ყოველივე ჩვენი ინტერესების, საერთო საკაცობრიო ინტერესთა საგანს წარმოადგენს და, არ შევცდები, თუ ვიტყვი, მომავლისათვის სასიცოცხლო ფუნქციაც კი აკისრია.

გია ბუღაძე

# ზაქრო მაისურაძე და ქართული ხალხური ხელოვნება

ამ რამდენიმე ხნის წინ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გახსნილი იყო მხატვარ-კერამიკოსის ზაქრო მაისურაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა, რომელიც მისი დაბადების 75 წლისთავს მიეძღვნა. ეს გამოფენა ერთგვარ აღმოჩენად იქცა არა მარტო ფართო საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, არამედ ბევრი მხატვრისთვისაც. წარმოდგენილი იყო როგორც შემოქმედებითი ნამუშევრები, ასევე მეცნიერული ნაშრომები. გამოფენამ ცხადყო ზ. მაისურაძის დიდი მნიშვნელობა და ადგილი თანამედროვე ქართულ სახვით კულტურაში. ამ წერილის მიზანია, ხაზი გაუსვას ზ. მაისურაძის შემოქმედების ერთ მხარეს, კერძოდ, ხალხურ ხელოვნებასთან მისი მიმართების საკითხს.

ხელოვნების ნებისმიერი დარგის განვითარების გზაზე დგება მომენტი, როდესაც იგი მთელი ძალით იფეთქებს, ყურადღებას მიიპყრობს და საყოველთაო აღიარებას მოიპოვებს. ჩვენი საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ქართულ კერამიკას სწორედ ასეთი დრო დაუდგა. მასში, როგორც სარკეში, აირეკლა ეპოქის სული, სტილი და მოთხოვნა. კერამიკამ იპოვნა საკუთარი ენა, ფორმა და შინაარსი. სწორედ იმხანად ფართო ნაბიჯი გადაიდგა, მომავლისაკენ. ქართულ კერამიკას კარგად იცნობენ ახლა ჩვენშიც და საზღვარგარეთაც. ათეული ქართველი კერამიკოსი დღეს საბჭოთა კერამიკული ხელოვნების ცნობილი ოსტატია. მაგრამ მიღწეულმა წარმატებებმა თავბრუ არ უნდა დაგვახვიოს, არ უნდა დაგვავიწყოს იმ ადამიანთა სახელები, რომელნიც დღევანდელი მონაპოვრის მჭედლები იყვნენ: დავით ციციშვილი, ზაქრო მაისურაძე, ალექსანდრე ფიცხელაური, ნიკო გომელაური.

ზაქრო მაისურაძე იმ შემოქმედთა რიცხვს განეკუთვნება, რომელნიც ხალხური გენიით შექმნილ საგანძურს სათუთად, ფრთხილად ეკიდებიან. ისინი არ ცდილობენ ზერელედ გადმოიღონ თვალში მოხვედრილი ჩუქურთმა, ფორმა თუ კოლორიტი და მექანიკურად მიატმასნონ საკუთარ კომპოზიციას.

ვიდრე ზ. მაისურაძე თავის შემოქმედებაში გამოიყენებდა ხალხურ ხელოვნებას, მან ჯერ ღრმად შეისწავლა მისი ფენომენი; მხოლოდ ამის შემდეგ მისცა თავს უფლება გაყოლოდა წინაპართა ნაკვალევს, მაგრამ არა როგორც ჩრდილი, არამედ როგორც ხალხური ხელოვნების ფესვებზე ამოზრდილი ყლორტი. მისი, როგორც კერამიკოსის, პროფესიული ინტერესი პირველ რიგში ხელოვნების ისტორიას, ტექნიკა-ტექნოლოგიას ეხებოდა. მან ძირფესვიანად გამოიკვლია და შეისწავლა ისტორიული და ეთნოგრაფიული კერამიკა, მხატვრული თუ სამშენებლო. ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება ახლაც კი აუთვისებელ ყამირს წააგავს, წარმოიდგინეთ რა იქნებოდა უფრო ადრე. სწორედ ამ დროს იწყებს ზაქრო მაისურაძე გატაცებით მუშაობას ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის და ხელოვნებათმცოდნეობის სარბიელზე. სხვა რომ არაფერი შეექმნა, ნაშრომები თუშურ საფენებზე, შორენკეცებზე, ორნიის თუ დმანისის კერამიკაზე, უძველეს საფლავის ქვებზე თუ სამთავროს შავკრიალა კერამიკის საიდუმლოებაზე, საპატიო ადგილს მიუჩენდა მას ერის კულტურის ისტორიაში.

ზ. მაისურაძის შემოქმედება, როგორც მხატვარ-კერამიკოსისა, რიცხვმრავალი არ არის, მაგრამ თითქმის ყოველ მის ნამუშევარში ჩასახულია მომავალი ჟანრის ან სახეობის მზარდი მარცვალი.

მხატვრის შემოქმედება 30-იანი წლებიდან მოდის. მაშინ საქართველოში პროფესიული კერამიკა მხოლოდ ფეხს იდგამდა. ყამირს ტეხდა თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა პირველი თაობა. მათ შორის იყო ზაქრო მაისურაძე. იგი იმთავითვე გამოირჩეოდა ნიჭით და ინტერესთა დიაპაზონით. ამიტომ ბუნებრივია, რომ სწორედ მისი პრაქტიკული საქმიანობა შეაღწევს შემდგომ თაობათა შემოქმედებაში და ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს კიდეც მას. გარდა ამისა, იგი ხომ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა და ეს პროცესი უშუალოდ, ბუნებრივად მიმდინარეობდა. ის ორგანული სიახლოვე ტრადიციებთან, რაც ასე მძლავრად არის დამახასიათებელი ჩვენი თანამედროვე კერამიკისათვის, მოდის ღვაწლმოსილი პედაგოგების, მათ შორის ზაქრო მაისურაძის მიერ გაკვალული ბილიკებიდან. ამ შესანიშნავი ოსტატის ხელი ქმნიდა ხალხური ხელოვნების ხიბლით აღბეჭდილ ჭურჭელს, კერამიკულ პლასტიკას, ფერადოვან პანოებს, არქიტექტურულ დეტალებს. მან შექმნა საკუთარი სამყარო, სახეები, გააცოცხლა ხალხური პერსონაჟები. შექმნა ახალი ჟანრი — მოხატული რელიეფური პანოები. ბევრის მთქმელია დავით ციციშვილის შეფასება, რომელიც ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" 1954 წლის ნომერში გამოქვეყნდა: „რამდენადმე განსხვავებულია მცირე ზომის ფერწერული პანოები ცნობილი კერამიკოსის ზ. მაისურაძისა. ხაზგასმული კერამიკულობა, ძერწვის განზოგადებული მანერა, რომელიც სქემატურობამდეა დაყვანილი, რაც არ უკარგავს ნახატს სიმკრივეს, რადგანაც ხაზგასმულია ფერითაც. ზ. მაისურაძის და გ. ქართველიშვილის ნამუშევრები სრულიად ახალი მოვლენაა ქართულ კერამიკაში; ისინი მიანიშნებენ საბჭოთა მხატვრული კერამიკის განვითარების ახალ გზებზე". ზ. მაისურაძე მართლაც ხალხური ოსტატის ძალის მქონე კერამიკოსია, დარგის ყველა ტექნიკისა და ტექნოლოგიის მცოდნე. ნებისმიერი მისი ნახელავი, გაურჩევლად სახეობისა, პირველ რიგში მასალის საკუთარ ენაზე მეტყველებს, იქნება ეს თიხა, ქაშანური თუ ფაიფური.

ზ. მაისურაძის შემოქმედებაში თავს იყრის მცნება მთელი ხალხური ხელოვნებისა. ეს არ არის ერთი რომელიმე დარგიდან მიღებული იმპულსი ან მათი მექანიკური აღრევა. ეს არის თვითმყოფადი, დღევანდელი ქართული ხელოვნება. მაგალითისათვის მოვიშველიებ თუნდაც მცირე ზომის სხვადასხვა ტექნიკით და მასალაში შესრულებულ ირმების გამოსახულებას. თავისი უშუალობით, თითქოს ერთი ხელის მოსმით შექმნილი ფორმით, ხალისიანი მოხატულობით მართლაც ხალხური ხელოსნის ნაკეთობად აღიქმება. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით; უფრო ხანგრძლივი დაკვირვებით კი აღმოაჩენ, რომ მას პირდაპირი პარალელი საერთოდ არ გააჩნია მეთუნეთა ნახელავში. შეამჩნევ მის დახვეწილ, მოხდენილ, წვრილმანებამდე გააზრებულ ფორმას, რომ სამკაულად ქსოვაქარგულობიდან ნასესხები ჩუქურთმებია აღებული, რაც არ გვხვდება მეთუნეობაში, რომ ეს ჭურჭელი გარკვეულ ხასიათს წარმოგვიდგენს, რომ სხვადასხვა ამოცანას პასუხობს, და მიხვდები, რომ ისინი მაისურაძის სულიერი სამყაროს ანარეკლია, მისი შემოქმედებაა. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშ რატომ წარმოგვიდგა თვალწინ ხალხური პლასტიკის და ზომისეული ჭურჭლის ნიმუშები? ალბათ იმიტომ, რომ მაისურაძეს და ანონიმ ქართველ ოსტატს გარესამყაროს აღქმის და ხედვის ერთნაირი უნარი ჰქონდათ, ეროვნული კოდით განპირობებული. მის ამ ქანდაკებებს ყველა სხვა ერის მსგავსი ქანდაკებებიდან გამოარჩევ, პირველ რიგში, როგორც ქართულს. კიდევ უფრო რთული ფორმით ვლინდება ეს კავშირი ხალხურ საწყისებთან მის ცნობილ სერიაში „ბერიკაობა".

სერია შედგება ათი ფერადი რელიეფური პანოსაგან. ეს სერია თავისი მხატვრული გადაწყვეტით და თვითმყოფადობით განკერძოებულად დგას. მხატვრების უმრავლესობა „ბერიკაობას" ან სიუჟეტური სურათის სახით ხატავს, ან ცალკეულ ბერიკების სახით წარმოგვიდგენს; ამასთან აუცილებლად ცხოველის ტყავში გახვეულთ და უაღრესად ექსპრესიულთ, — მოძრაობითაც, ფერითაც. ზ. მაისურაძე კი უარს ამბობს თხრობაზე, რაიმე მოქმედებაზე და თემას ხსნის მხოლოდ და მხოლოდ პერსონაჟის, ასე ვთქვათ, პორტრეტის საშუალებით. ბერიკები და შენ, მაყურებელი, პირისპირ რჩებით; მოახლოებული კადრი საშუალებას გაძლევს უშუალო კონტაქტის დამყარებისა. ყველა ტიპაჟისათვის შერჩეულია ძერწვის შესაფერისი მანერა, მაღალი და დაბალი რელიეფი, ფერის ინტენსიობა.

ზ. მაისურაძის შემოქმედების ამ ასპექტით განხილვა იმიტომ არის საინტერესო, რომ იგი გვევლინება თავისებურ ესტაფეტად, სახელდობრ: ეროვნული კულტურა — ზაქრო მაისურაძე, ზაქრო მაისურაძე — შემდგომი, მის მიერ აღზრდილი თაობა და ა. შ., ხვალინდელ, მომავალ თაობებამდე. ეროვნული კულტურის ჩირაღდნის მატარებელი ხელი არ უნდა მოგვეშალოს. ამისათვის იღვწოდა ზაქრო მაისურაძე, ქართული პროფესიული ხელოვნების პიონერი.

ზ. მაისურაძის შემოქმედების სრული მეცნიერული შესწავლა მომავლის საქმეა.

ნანა ქიქნაძე

წლის საუკეთესო ნამუშევრები

# გამორჩეულობის ნიშნით

წლის საუკეთესო ნამუშევრის ნიშნით გამორჩეულ სახვითი ხელოვნების ნიმუშებში თავისებურ ასახვას პოულობენ ის მრავალწახნაგოვანი სახეცვლილებები და ესთეტიკური ძიებები, რაც თანამედროვე ქართული მხატვრობის განვითარების რთული პროცესისადმი შეუნელებელ ინტერესს განაპირობებს. შემოქმედებით სექციებთან ერთად ამ ნამუშევრების ალიარებას ერთგვარად დამთვალიერებელიც განსაზღვრავს, ვინაიდან ისინი გარკვეულწილად უკავშირდებიან დროის შესაბამის პრობლემებს, ეპოქის საჭირბოროტო საკითხებს. მათში შთამბეჭდავად აირეკლება როგორც პიროვნული განცდები, ისე მარადიული ფასეულობები, თანამედროვეობის სულიერი ინტერესები თუ მიდრეკილებები.

წლევანდელი საუკეთესოდ მიჩნეული ნამუშევრები წარმოდგენილი იყო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ვერნისაჟებზე და გამოირჩნენ ესთეტიკურ ამოცანათა სიცხადითა და მრავალფეროვნებით, ახლებური სახვითი საშუალებების მოძიებისა და ჟანრის სპეციფიკის სიღრმისეულ შრეებში წვდომისკენ ლტოლვით. ნაწარმოებთა ავტორები 70-80-იანი წლების მხატვართა თაობის წარმომადგენლები არიან, იმ თაობისა, რომელთა შემოქმედებაშიც ყველაზე მკაფიოდ ჩანს სახეობრივ აზროვნებაში მიმდინარე მუდმივად ცვალებადი პროცესის სტილისტური თავისებურებანი, მსოფლიო ხელოვნებიდან მიღებული იმპულსებისა და მრავალი თაობის მიერ დაგროვილი ეროვნული ცხოვრებისეული გამოცდილების ორგანული შერწყმისა და სიმბოლური განზოგადებისკენ მისწრაფება.



ჯ. კუხალაშვილი — „ოჯახი“.



გ. ბოჭუა — კომპოზიცია.



გ. უსტიაშვილი — კომპოზიცია.

ჯემალ კუხალაშვილისათვის არა აქვს მნიშვნელობა, მიმართავს თანამედროვე თუ წარსულის სიუჟეტებს, ვინაიდან მისთვის ძირითად თემად ყოველთვის რჩება ზნეობრივი საწყისი. ფერმწერს აინტერესებს არა იმდენად გამოსახვის საგანი, რამდენადაც მასთან დაკავშირებული სულიერი შინაარსი, მნიშვნელოვანია თვით ფაქტის ზოგადი არსის ინდივიდუალური განცდით დამუხტული სახვითი ენით გადმოცემა, ჩვეულებრივში სიღრმისეულის, „ფარულის“ დანახვა. ხელწერის ერთგვარად სპონტანური მანერა ფერწერული მონასმის, ლაქისა და ექსპრესიული, ტეხილი ხაზის ერთობლიობით იბადება, მძაფრ ემოციურობას იძენს. კომპოზიციაში, რომელიც „ერის მარადიულ თანმდევს“ — დიდ ილიას მიეძღვნა, მხატვარი არ მიმართავს რაფინირებულ ნახატს, დეტალების დახვეწას, მაგრამ უაღრესად დატვირთული მხატვრული ფორმებით სისტემაში მოჰყავს მოტივის ყველა ფრაგმენტის მყარი პლასტიკური კავშირი. სურათის ცენტრალურ ნაწილში გამოსახული ეტლი, საგანგებოდ დარისხებული ზარები, ცალკეული ფიგურების ქაოტური განლაგება თითქმის მისტიკურ სივრცეში ნაწარმოებს შინაგანი დრამატიზმით მსჭვალავს და ტრაგედიისადმი ავტორისეულ დამოკიდებულებას საცნაურს ხდის.

სოსო მელქაძის ნამუშევართა შორისაა დაზგური გრაფიკის ნიმუშები, წიგნის ილუსტრაციები, ფერწერული ტილოები, ესტამპები, რომლებიც უდროოდ წასული ხელოვნის სახეობრივი აზროვნების უშუალობასა და თავისთავადობაზე მიგვანიშნებენ. მხატვარი კარგად გრძნობს განცდაში ჩადებულ პოეტურ პოტენციალს და სათქმელსაც შესატყვის სახვით ხერხებს უთავსებს. გრაფიკულ სერიებში დახვეწილი, მოქნილი ხაზითაა ხორცშესხმული თანამედროვე ადამიანისა და გარემომცველი სამყაროს ჰარმონიული და იმავდროულად რთული ურთიერთობის სახიერი ხატი. შინაარსისა და ფერადოვანი დატვირთვის მხრივ განსხვავებულ პეიზაჟებში დომინირებს ოქროსფერ-მოყავისფროს ნაირგვარი გრადაციები, რაც ერთიან კოლორიტს ქმნის და შემოქმედის მდიდარ ფერწერულ შესაძლებლობებზე მეტყველებს. სოსო მელქაძის ტილოებში პეიზაჟი თითქოს კონკრეტულია (ქართლის მოტივები), მაგრამ არა ლოკალური, არამედ ეროვნული და განზოგადებული; პორტრეტული ნამუშევრები კი ინდივიდუალურად განუმეორებლის „დაჭერასთან“ ერთად მოდელის განცდებსა და სულიერ მისწრაფებებში ჩაწვდომას გულისხმობს.

გიმერი დარჩია, თავისივე თაობის სკულპტორთა მსგავსად, ცდილობს გააღრმავოს დაზგური ქანდაკების ამოცანები, მიაღწიოს თანამედროვეთა ხასიათის თავისებურებების, ტემპერამენტისა და ემოციების ზედმიწევნით განსხეულებას. მისი ნაწარმოებებისათვის ნიშანდობლივია ერთგვარი „ჭვრეტითობა“, ხანდახან გარკვეული კამერულობაც, რაც აღქმის პროცესისას ინტიმურობის ელემენტებით მსჭვალავს კომპოზიციებს. „ჭვებეს პორტრეტში“, მიუხედავად გარეგნული თავშეკავებისა და გაწონასწორებულობისა, იგრძნობა სინამდვილის, უშუალოდ ნანახისა და განცდილის ტრანსფორმაცია. მოქანდაკე ახერხებს ახლო კონტაქტი დაგვამყარებინოს პერსონაჟთან, დაგვამყარებინოს ინდივიდუალური დამოკიდებულება, აღგვიძრას თვითგანცდა. პიროვნების გარეგნული ნიშნების თავისუფალი ძერწვით, ძლივს შესამჩნევი სახის მიმიკით ხაზგასმულია კონკრეტული სულიერი განწყობილება, რომელიც ცხოვრებისეული საზრისის შეცნობის განცდას იტევს.

ირინა ელისტრატოვა-ასათიანისა და გივი უსტიაშვილის ნამუშევრებში გამოკვეთილია თანამედროვე ქართული კერამიკისათვის დამახასიათებელი თვისებები, რაც ფორმათქმნადობის ფერწერული ხერხებისა და ქანდაკების არქიტექტონიკური პრინციპების კერამიკულ მასალასთან მისადაგების სურვილში გამოიხატება. ირინა ელისტრატოვა-ასათიანის კერამიკულ კომპოზიციებში, რომლებიც დაუნაწევრებელი მოცულობის განზოგადებული კონტურითა და ლაკონური შტრიხებით იქმნება, დეტალების სტრუქტურული წყობა ერთგვარად უკუგდებულია. ფერის გამახვილებული შეგრძნება, სახვითობის მძლავრი ელემენტები ჰარმონიულად ერწყმის მდიდარ შემოქმედებით ფანტაზიას, მკვეთრად გამოხატულ ინდივიდუალურ ხელწერას. ხაზგასმული მოყავისფრო-მოჩალისფრო კოლორიტი კერამიკაში გასულიერებული ტრადიციის თანამედროვე ესთეტიზაციის ნიმუშის იერს ანიჭებს ნამუშევრებს. კერამიკული ჭურჭლის ფორმის შენარჩუნების ნიშნით აღბეჭდილ გივი უსტიაშვილის ნაწარმოებებში სიუჟეტი აღიქმება როგორც სახურათე სიბრტყეზე დაწერილი ფერწერული ტილოები — ფიროსმანისეული მოტივები, რომელთა გამოსახვა მუქ ფონზე კიდევ უფრო აძლიერებს მხატვრულ შთაბეჭდილებას. სერია ესთეტიკური დანიშნულებისაა და ამასთანავე, მისი უტილიტარული მხარე სულიერ-პრაქტიკულ ფუნქციაშიც გამოიხატება, იძლევა როგორც ესთეტიკურ, ისე წმინდა შემეცნებით ინფორმაციას.

გიორგი ბოჭუას გობელენი ტრადიციული სახვითი პრინციპებისადმი ერთგულებასთან ერთად მასალის შესაძლებლობებისადმი თანამედროვე დამოკიდებულებასაც ამჟღავნებს. მასში გამოკვეთილია მხატვრის ინდივიდუალური კომპოზიციური პრინციპები — ფერის მნიშვნელობის, ნართის სტრუქტურისა და გობელენის ფაქტურის ხაზგასმა. მთელი კომპოზიცია ფერთა ფაქიზ ნიუანსირებაზე დაფუძნებული კლაკნილი ხაზებითაა დასერილი, ხოლო სიმბოლურ-ორნამენტული დეტალები ფიგურული ჯგუფის გამოსახულებას ექვემდებარებიან. ქართული არქიტექტურული პეიზაჟის კომპონენტები — კრამიტიანი სახლები და ტაძრის გუმბათი, სიმბოლური აქსესუარები — ყურძნის მტევანი და ბროწეულები გობელენს მკაფიო ეროვნული ტენდენციის მატარებელს ხდის.

თამარ ბრიგოლია ზედმიწევნით ფლობს მასალის მხატვრულ-ტექნიკურ შესაძლებლობებს. ტაქტითა და გემოვნებით შექმნილი ნაკეთობები შემოქმედებითი ექსპერიმენტებითა და ახლის ძიებით გამოირჩევიან. ნამუშევართა დეკორატიულ გამომსახველობას განაპირობებს არა მხოლოდ მათი ფორმა, არამედ თავშეკავებული შეფერილობაც, რომელიც უმეტეს შემთხვევაში დამატებით შტრიხად აღიქმება და ამასთანავე მინის ფაქიზ ფაქტურასაც ავლენს. სიმბოლური ელემენტების თამამი შეხამებით, დეტალების თავისუფალი, მაგრამ ზუსტი შეთავსებით ქმნის ავტორი განზოგადებულსა და მთლიან ფორმას, ხელშესახებად რომ გადმოსცემს ნაწარმოებში ჩადებულ შინაარსს.

წლის საუკეთესო ნამუშევრებში ნათლად წარმოჩნდა ის გამუდმებული ძიებები და ექსპერიმენტები, რაც განაპირობებს მათ ნაირგვარობას როგორც თემატიკის, ისე სახვითი ხერხების გამოყენების თვალსაზრისით. თვალშისაცემად იკვეთება თვითშემეცნების, მოვლენათა ინტერპრეტირების ინდივიდუალური პოზიცია, დაინტერესება დღევანდელობის რთული პრობლემებით, რაც ხელოვანს, როგორც პიროვნებას ანალიტიკური უნარის გაღრმავებისა და ეროვნული მემკვიდრეობის თანამედროვეობაში [illegible]

ინგა კარაია



გ. დარჩია — ჭვებეს პორტრეტი.



ი. ელისტრატოვა-ასათიანი — პორტრეტი.



თ. ბრიგოლია — მოტივი (მინა).

# ესთეტიკური აღზრდის საიმედო კერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ოც წელზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი — ერთ-ერთი პირველი მთელი საბჭოთა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში.

თავდაპირველად მას ხელოვნების საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი ერქვა, შემდგომ კი, 1973 წლიდან, მას შემდეგ, რაც მისი სამუშაო სფერო გაფართოვდა და გაღრმავდა, საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი ეწოდა. ამ სახელს ატარებს იგი დღესაც.

დაარსების დღიდან ფაკულტეტი ოთხ ძირითად დარგს აერთიანებს: სახვითი ხელოვნების, მუსიკის, კინო-დრამატურგიისა და სარეჟისოროს და ფოტოხელოვნების. მისი დამაარსებლები თვით უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები იყვნენ.

ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გავიხსენებთ იმ ადამიანთა ღვაწლს, ვინც თავის დროზე სათავე დაუდო ამ ფაკულტეტს. ზოგი მათგანი დღეს, სამწუხაროდ, ჩვენს შორის აღარაა, ბევრი კი ჩვეული ენერგიით აგრძელებს მუშაობას. ესენია: აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი, დოცენტები ა. ჩხარტიშვილი (ფაკულტეტის პირველი დეკანი), თ. ფერაძე, გ. ხარატიშვილი, თ. ჩოჩუა, ნ. ლეონიძე, ო. ფირალიშვილი, ს. მამასახლისი, მხატვრები ლ. ცომაია, ი. ჯინჯიხაშვილი, ლაბორანტები ს. გახარია, ზ. ბეჟუაშვილი, მ. კაკულია, ლ. ბოლქვაძე და სხვები. მოგვიანებით ფაკულტეტს ხელმძღვანელობდა მუსიკათმცოდნე ვ. გვახარია.

აღნიშნულ ფაკულტეტზე სახვით ხელოვნებაში პირველი ლექციები ჩაატარეს: ე. ბალდავაძემ, ვ. შერპილოვმა, ნ. ურუშაძემ, ი. სართანიამ, გ. აბაშიძემ, მ. გაჩეჩილაძემ; შემდგომში ლექციებს კითხულობდნენ აგრეთვე ჯ. ხუნდაძე, ო. სულავა, ნ. ჩიქოვანი, ი. ჯინჯიხაშვილი, ვ. ბერძენიშვილი, გ. როინიშვილი, ი. ქოიავა, თ. გოცაძე, ა. თოიძე, გ. ცერაძე, მ. თუმანიშვილი, ლ. გოგლიძე, არქიტექტორ-რესტავრატორი ლ. ხიმშიაშვილი და სხვები. სასიამოვნოა, რომ ტრადიციას დღეს ახალგაზრდა პედაგოგები აგრძელებენ. განყოფილებას ლ. ასათიანი ხელმძღვანელობს.

კინოდრამატურგიისა და სარეჟისორო განყოფილებაზე მოღვაწეობდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, კინორეჟისორი მ. ჭიაურელი, რეჟისორები დ. რონდელი, კ. პიპინაშვილი, რ. ჩხეიძე, თ. აბულაძე, რ. ესაძე; შემდგომ: ო. იოსელიანი, ლ. ღოღობერიძე, გ. კანდელაკი, მ. კოკოჩაშვილი და სხვები; კინომცოდნე ტ. თვალჭრელიძე; დრამატურგები კ. გოგოძე, ე. ახვლედიანი, რ. ჭეიშვილი, რ. თაბუკაშვილი, ვ. სიხარულიძე და სხვები.

მუსიკის განყოფილებაზე ლექციებს კითხულობდნენ საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კომპოზიტორი შ. მშველიძე; მისი კოლეგები ნ. გუდიაშვილი, ფ. ღლონტი; დირიჟორი ვ. ფალიაშვილი; მუსიკათმცოდნეები ო. ჩიჯავაძე, ე. მაჭავარიანი; მომღერლები თ. ზაალიშვილი, მ. დონაძე, თ. ჩოჩუა, გ. ზედგენიძე, ლ. ღვედაშვილი, ნ. ტუღუში და სხვები.

ფოტოხელოვნების განყოფილების სტუდენტებს თავიანთ ცოდნას გადასცემდნენ ს. მამასახლისი, ვ. რუსეცკი, ს. კილაძე, დ. იაკობიშვილი, ა. ბალაბუევი და სხვები.

ერთ წერილში ძნელია ვისაუბროთ ყველა სასიკეთო საქმეზე, რასაც ფაკულტეტი ახორციელებდა წლების მანძილზე. შევეხები მხოლოდ იმ სპეციალობას, სადაც მრავალი წლის განმავლობაში მიხდებოდა მუშაობა — ეს არის სახვითი ხელოვნების განყოფილება, ანუ სამხატვრო სტუდია.

ფასდაუდებელი ამაგი დასდო ფაკულტეტს აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა. იგი უცვლელი თავმჯდომარე იყო მისი სამეცნიერო საბჭოსი. მიუხედავად მრავალმხრივი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობისა, იგი მუდამ პოულობდა დროს, რომ დახმარებოდა ახალგაზრდობას, განსაკუთრებით სახვითი ხელოვნების განყოფილებას.

ფაკულტეტის საქმიანობაზე დიდი გავლენა მოახდინა ცნობილმა მკვლევარმა, ქართული კინოსა და თეატრის თავდაუზოგავმა ქომაგმა გ. ხარატიშვილმა (მრავალი წლის მანძილზე იგი იყო ფაკულტეტის დეკანი), რომელიც მხარში ედგა სტუდენტ ახალგაზრდობას, ზრუნავდა მათი პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის. დღეს ფაკულტეტს ხელოვნებათმცოდნე და მხატვარი, დოცენტი გ. ხუციშვილი ხელმძღვანელობს.

სახვითი ხელოვნების განყოფილების პროფილი თავიდანვე სწორად იყო განსაზღვრული. სწავლის ხანგრძლივობა დასაწყისში ხუთი წელი იყო, ხოლო შემდგომ სამ წლამდე შემცირდა. ძირითადი სპეციალობებია: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება; სასწავლო კალენდარული გეგმები, პროგრამები მეთოდურად შეესატყვისება დასახულ ამოცანებს.

გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ზოგიერთები რატომღაც ეჭვის თვალით უყურებენ სახვითი ხელოვნების სპეციალობის სწავლების საჭიროებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმ დროს, როდესაც არსებობს სამხატვრო აკადემია. საქმე ისაა, რომ უნივერსიტეტის სამხატვრო სტუდია სრულიადაც არ ისახავს მიზნად მხატვრის აღზრდას. მისი მიზანია ჩამოაყალიბოს მხატვრულად განათლებული, ხელოვნების ჭეშმარიტად დამფასებელი ადამიანი, რომელიც კარგად იქნება გათვითცნობიერებული სახვითი ხელოვნების სპეციფიკაში.

სამხატვრო სტუდიის სხვა ამოცანები და მიზნებიც გააჩნია. ეს არის სინთეზის პრობლემა სტუდენტის ძირითად სპეციალობასა და სახვითი ხელოვნების დარგებს შორის. სწავლების მეთოდებიც იქეთკენაა მიმართული, რომ გამოიძებნოს შემაკავშირებელი გზები მეცნიერულ დარგებსა და ხელოვნებას შორის. შესაძლოა, შედეგები ამ მიმართებით დღეისათვის არასაკმარისია, მაგრამ იგი სამომავლო საქმეა და დარწმუნებული ვართ, უსათუოდ გახდება საინტერესო სიახლეთა გამოვლენის საშუალება. ვინ იცის, იქნებ ამგვარმა მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღოს და მომავალ საუკუნეში ქართველ მოღვაწეთა საინტერესო აღმოჩენების საფუძველი გახდეს. აი, რა მიზანს ისახავს უნივერსიტეტის სამხატვრო სტუდია. და, როგორც იტყვიან, თუ „ღმერთმა“ ინება და სტუდენტთა შორის ნიჭიერებიც გამოერევიან, რომლებიც თავიანთ მოღვაწეობას სახვითი ხელოვნების სფეროში წარმართავენ, კარგის მეტი რა გვეთქმის, პირიქით, მოხარულნიც ვიქნებით. ასე რომ, ნუ გვიწყენს ზოგიერთი სკეპტიკოსი, თუ მათ პროგნოზებს უნდობლობას გამოვუცხადებთ. დარწმუნებული ვართ, რომ უნივერსიტეტის სამხატვრო სტუდია არასოდეს გახდება სამხატვრო აკადემიის ორეული, რადგან მას უბრალოდ ამის უნარი არ შესწევს.

თავისი არსებობის მანძილზე სამხატვრო სტუდია ორი ათასზე მეტმა ახალგაზრდამ დაამთავრა; ამათგან თითზე ჩამოსათვლელია ისინი, ვინც მხატვართა კავშირის წევრი გახდა. დანარჩენები მუშაობენ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში, იქ, სადაც სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულს ვერ ნახავ. განა ეს ყურადსაღები არ არის!

ფაკულტეტს და თვით სახვითი ხელოვნების განყოფილებას არცთუ ისე დალხენილი ცხოვრება ჰქონდა ამ ხნის მანძილზე. იყო ძალები, რომელნიც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მისთვის. მაგრამ საღი აზრი მუდამ იმარჯვებდა კეთილი და ფხიზელი გონების ადამიანების ხელშეწყობით. მახსოვს, ერთხელ უნივერსიტეტის დიდ საბჭოზეც კი გაიტანეს საკითხი ფაკულტეტის გაუქმების შესახებ. ამგვარ კრიტიკულ მომენტში გადამწყვეტი აღმოჩნდა იმჟამინდელი რექტორის, აკადემიკოს ი. ვეკუას სიტყვა. მან თქვა: „ამხანაგებო, ჩვენ ყველამ ამ ცოტა ხნის წინ ზეიმით აღვნიშნეთ თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავი. უნივერსიტეტს მრავალი წარმატება უნახავს; აქვს მრავალი ფაკულტეტი; მათ შორისაა ხელოვნების საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი, სადაც ჩვენი ახალგაზრდობა ეუფლება მხატვრობას, მუსიკას, კინორეჟისორობასა და დრამატურგიას, ფოტოხელოვნების საიდუმლოებას. და თუ მათგან ოდესმე, შემდგომ [illegible] განმავლობაში, სამშობლოს [illegible] თუნდაც ერთი [illegible] — მხატვარს, მუსიკოსს, კინოხელოვანს, — უნივერსიტეტი მოიხდის თავის მამულიშვილურ ვალს ქვეყნის წინაშე“. ი. ვეკუამ სწორად შეაფასა ვითარება და მას სათანადო შეფასება მისცა. რას იზამ, ასეთია ჭეშმარიტი სიმართლის ლოგიკური არსი; გსურს თუ არა, ნდობა უნდა გამოუცხადო მას, სხვა გზა არ არსებობს.

დღეს მთელი სერიოზულობით დგას საკითხი ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის შესახებ. ვფიქრობ, უნივერსიტეტის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტს შესწევს უნარი პირნათლად მოიხადოს თავისი ვალი საზოგადოების წინაშე, ხელი შეუწყოს ამ პრობლემათა გადაწყვეტის საქმეს.

ისე, როგორც არასოდეს, დღეს მთელი სიმწვავით დგას სტუდენტთა, საერთოდ, ახალგაზრდობის მიერ თავისუფალი დროის გამოყენების საკითხი. ამის შესახებ იწერება სტატიები, წერილები, გამოითქმის მოსაზრებანი, რომ საჭიროა თავისუფალი დროის გონივრული გამოყენება, რომ სწორედ უსაქმურობიდან იღებს სათავეს ყოველგვარი ბოროტმოქმედება — ნარკომანია, ზნედაცემულობა, მორალური გადაგვარება. პირდაპირ უნდა ითქვას, განზე დგომა და შორიდან ჭვრეტა არას გვარგებს. საჭიროა ქმედითი, რადიკალური ზომების მიღება. თუნდაც ამიტომ ყოველმხრივ მხარი უნდა ვუჭერდეთ საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის არსებობას. უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ჩავაბათ ფაკულტეტის მუშაობაში, გავაფართოოთ მისი შემოქმედების სფერო.

საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტს დიდი სამომავლო საქმეების გადაწყვეტა ევალება და, რაც მთავარია, მას შესწევს უნარი თავისი წვლილი შეიტანოს მაღალი კულტურის, გემოვნების ახალგაზრდობის, ზნეობრივად ამაღლებული, ესთეტიკურად განათლებული, სულიერად ჯანსაღი თაობის აღზრდაში.

მამია ახობაძე

# საქართველოს ყველა ფერით

მოსკოვი. თითქოს საქართველოს ყველა ფერი შერწყმულიყოს ქართველ ახალგაზრდა მხატვართა ნაწარმოებების გამოფენაში, რომელიც მოსკოვში, ძველ არბატზე გაიხსნა. იგი ნამდვილად გახდა კულტურული ცენტრის —„მზიურის“ მშვენება, რომელიც აი უკვე სამი თვეა იპყრობს მოსკოველთა და დედაქალაქის სტუმართა ყურადღებას.

რეკონსტრუირებული ძველი სახლის ვრცელ დარბაზებში მუდამ ბევრი ხალხია, მაგრამ სტუმრები განსაკუთრებით დააინტერესა ამ ექსპოზიციამ. მისი ამბავი სწრაფად მოედო სახვითი ხელოვნების მოყვარულებს. და, მართლაც, გამოფენა გულგრილს არავის არ დატოვებს. აქ ხომ აჩვენებენ იმ ფერმწერთა და გრაფიკოსთა ნამუშევრებს, რომლებსაც სამართლიანად ეკუთვნის მსოფლიოში განთქმული ქართული ხელოვნების მომავალი.

ექსპოზიციაზე 107 ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. და თითოეული მოწმობს მათ შემქმნელთა საინტერესო შემოქმედებითს ძიებას. განსაკუთრებით იზიდავს მნახველთა ყურადღებას ჯ. კუხალაშვილის სურათები, დიდხანს დგანან ისინი მის „ავტოპორტრეტთან ოჯახითურთ“, ქალაქის პეიზაჟებთან.

— აღფრთოვანებული ვარ მისი ყალმით,—თქვა პოეტმა ლუდმილა ნაროჩატსკაიამ. — ეს ჭეშმარიტი ფერმწერია! მის ნამუშევრებში ყველაფერი სუნთქავს, შრიალებს ქარზე და მზეზე ელვარებს. ისინი სულიერად ამდიდრებენ მაყურებელს.

ამ აზრს უერთდება მოსკოველი მასწავლებელი გ. მონდრუსი: „გაიგო — ნიშნავს იგრძნო“ — ასე ამბობდა მარინე ცვეტაევა. კუხალაშვილის სურათები მგონია შევიგრძენი, მაშასადამე გავიგე კიდეც“.

გამოხმაურებათა წიგნი მრავალენოვანი და მრავალსახოვანია. ქართულ ენაზე ჩანაწერების გვერდით რუსული გამოხმაურებანი ჩამწკრივებულან.

— ჩვენ საქართველოში არა ვყოფილვართ, — წერენ მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები,— მაგრამ გვგონია, რომ ეს შესანიშნავი, კეთილი და მზიური მხარეა. ასევე მზიური და კეთილია ახალგაზრდა ავტორთა გამოფენა.

დიდი შეფასება დაიმსახურა გამოფენამ ხელოვნების საზღვარგარეთელ მოყვარულთა შორისაც. „გმადლობთ დღესასწაულისათვის. აქ გამოფენილი ნამუშევრები დაგვეხმარნენ საქართველოს გაცნობაში, რომელზეც ასე ბევრ კარგს ამბობენ“.—ასეთი ჩანაწერი დატოვეს მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის ბულგარელმა, სირიელმა და ბახრეინელმა სტუდენტებმა.

— შესანიშნავი გამოფენაა, — მიაჩნია დიდი ბრიტანეთიდან ჩამოსულ ტურისტს ჯონ გლეიტონს. — ასეთი შთამბეჭდავი ნამუშევრები დიდი ხანია არ მინახავს.

დიდი ინტერესითა და სიამოვნებით დაათვალიერეს გამოფენა თბილისის ძმადნაფიცის საარბრიუკენის წარმომადგენლებმა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოსული სტუმრები მადლობას უძღვნიან ახალგაზრდა ქართველ ოსტატებს მათი შემოქმედებისათვის.

# პოპ-არტი, როგორც გამოცდილება



შარშან ნიუ-იორკში გარდაიცვალა პოპ-არტის ერთ-ერთი უსაჩინოესი ლიდერი, ამერიკელი მხატვარი ენდი უორჰოლი.

ახლა, როცა საკმაო ხანი გვაშორებს პოპ-არტის, XX საუკუნის სამხატვრო ცხოვრების ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფენომენის, ჩამოყალიბებისა და აღზევების დროიდან, საგულისხმოა ამ მიმდინარეობის ზოგადი დახასიათების ცდა.

ამერიკელი ხელოვნებათმცოდნის რ. ჰიუგის განსაზღვრით, ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში პოპ-არტის დამკვიდრება კატეგორიული იმპერატივი იყო სახვითი ხელოვნების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის; დასავლეთის ხელოვნებამ მხოლოდ მასობრივი კომუნიკაციის სახეთა და ფეტიშთა სესხებით შესძლო პოპ-კულტურასთან ასიმილაცია. ტერმინ „პოპ-არტის“ გამომგონებელი, ინგლისელი თეორეტიკოსი ელოუეი ამაყად აცხადებდა: „პოპ-ხელოვნება არც აბსტრაქტულია და არც რეალისტური, თუმცა ორივე მიმართულებით აქვს კონტაქტები“. ეს განსაზღვრება ქარაგმული მინიშნება იყო პოპ-არტის ე. წ. „უმაღლეს სინთეზზე“. აბსტრაქტული სურათებისათვის დამახასიათებელი დიდი ზომები კიდევ უფრო გაიზარდა მომხმარებელთა საზოგადოების ნიშანთა ტრანსპარანტულობის აქცენტირებისათვის; მაქსიმალური სიბრტყოვანების მოთხოვნამდე დაყვანილი სტილისტური პრობლემების გადაწყვეტის გზაზე პოპ-არტი აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის მემკვიდრედ იქცა: პოპ-არტის ობიექტები მაქსიმალურად ბრტყელი იყო და მოჩვენებითი ილუზიორობის, რეალისტურობის მიუხედავად, იმ დროისათვის ისევე აბსტრაქტულად აღიქმებოდა, როგორც სპონტანური ლაქა ან მონასმი, რადგან ჩვეულებრივი გაგებით, შემოქმედების ნაყოფს არ წარმოადგენდა.

უკვე ამ ნიშნით შესაძლებელი ხდება ბოლო დროის სხვადასხვა თეორიულ მიმოხილვებში პოპ-არტის ჰიპერრეალიზმსა და კონცეპტუალიზმთან ერთ კონტექსტში განხილვა, რადგან სახვით ობიექტს თავისთავადი, ესთეტი- [illegible]

სებს: რას ირჩევდნენ პოპ-არტის მხატვრები სადემონსტრაციოდ და როგორ კონტექსტში, როგორი კომენტარით აწვდიდნენ ობიექტს საზოგადოებას. შესაძლებელი გათვალსაჩინოებისათვის მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მივმართოთ, რადგან, სამწუხაროდ, ჩვენს მხატვართა უმეტესობისათვის პოპ-არტის მცნება მხოლოდ უცხოური სიგარეტების კოლოფთა ან სარეკლამო ფოტოჟურნალთა ფრაგმენტებით შექმნილ კოლაჟებთანაა გაიგივებული. ის, რაც პოპ-არტის მხოლოდ ცალკეულ გამომსახველობით ხერხადაა ცნობილი, ბევრისათვის თვითმიზნურ, განმსაზღვრელ მნიშვნელობას იძენს, რაც ყურადღებას ადუნებს იმ სოციალურ-კრიტიკული პათოსისა და რთული ქვეტექსტებისადმი, რომელთა მეშვეობით პოპ-არტისტულ ნაწარმოებებთან შედარებით დადაისტური კოლაჟება [illegible]

საცხოვრებლებს?“, „შოკისგან დაცული“ და „მე ვოცნებობ თეთრ შობაზე“ — მეშჩანურ ყოფაზე ირონიზების გარდა, ძალზე მახვილგონივრულად ოპერირებდა მოწოდებული ნამუშევრებისა და იმ დროისათვის საკმაოდ უჩვეულო სათაურებს შორის კონტრასტით; მაგ. ფილმ „თეთრი შობიდან“ აღებული და გადიდებული ერთ-ერთი კადრი, რომელზეც მთავარი პერსონაჟის სახე ნეგატივში იყო დაბეჭდილი, ერთდროულად უარყოფაც გახლდათ ჰოლივუდის მიერ შემოთავაზებული შობის მოდელისა და ბანალურ წარმოდგენებს მიღმა ნამდვილი, ჭეშმარიტი შობის მონატრებაც.

ენდი უორჰოლის თავდაპირველი პოპ-არტისტული სურათები, სარეკლამო ფოტოგამოსახულებათა მრავალჯერადი, თავისთავად ძალზე საინტერესოდ მოწოდებული და გაფორმებული ტრანსპარანტული ფრონტალურობით თითქოს მხოლოდ ყოფის უბანალურეს ატრიბუტებზე ირონიზება იყო: სუპ „კემპბელის“ ქილები, დოლარების ასიგნაციები, კოკა-კოლას ბოთლები. პოპ-არტისათვის ესოდენ დამახასიათებელი კინო და ესტრადის ვარსკვლავთა „იმიჯების“ არაერთმნიშვნელოვან მოწოდებათა შემდეგ (ელვის პრესლი და, განსაკუთრებით, მერლინ მონრო, რომლის სახე მოგვიანებით თვით პოპ-არტის საცნაურ კლიშედ იქცა; ეს სახე ფიგურირებდა, როგორც მასობრივი მოთხოვნილების, „იდეალისტური“ წარმოდგენების ობიექტი, და როგორც იმავე სინამდვილის მსხვერპლიც, მაგალითად, პეტერ ფილიპსის ერთ სურათში, სადაც ის სამიზნედ გამოყენებული კურდღლის [illegible]

ბევრისათვის, შესაძლოა, არაჯანსაღ ცინიზმად მიჩნეული ამ სურათებით უორჰოლმა თანამედროვე ყოფის უფრო სიღრმეში დამალული შესაზარი ნიშანი გააცხადა: მასობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა არხით, ტელე-, კინო- და ფოტოინფორმაციით მოწოდებული ცნობები თანამედროვე „გაწვრთნილ“ ადამიანში უკვე არანაირ ემოციას არ იწვევს; თანდათან ქრება თანაგრძნობა, ბოროტებისადმი დაპირისპირების სურვილი — ამგვარი ინფორმაცია სუპ „კემპბელივით“ ინთქმება.

უორჰოლის იკონოგრაფიისათვის დამახასიათებელ, იმთავითვე საცნაურ, მისეულ ობიექტთა შორის ასევე უმნიშვნელოვანესი იყო „მონა-ლიზასა“ და „საიდუმლო სერობის“ ფრაგმენტთა გამოჩენა რეპროდუცირების ეპოქაში. ვ. ბენიამინის განსაზღვრით, ხელოვნების ნაწარმოებთა ნაცვლად ადამიანთა კონტაქტები რეპროდუქციებთან მთელი კულტურული ტრადიციის მომხმარებლურ სისტემაში ჩართვის და ნიველირების ნიშანია, ხელოვნების შედევრებიც პოპ-კულტურის ვიზუალურ, სარეკლამო კლიშეებადაა ქცეული.

ამგვარივე კავშირების სადემონსტრაციოდ უორჰოლი ასევე სთავაზობდა მნახველებს ყვავილების, ძროხებისა და ბუნების ხედების სლაიდების გამრავლებულ რიგს.

საკვებთან ერთად (სუპი „კემპბელი“), ხელოვანის ან სოციალურ არენაზე სხვა რაიმეთი გამორჩეული პიროვნების (მერლინ მონრო, კენედი, მიკ ჯაგერი და ა. შ.) სარეკლამო, რეპრეზენტატიული სახე, ინფორმაცია კატასტროფებისა და სიკვდილით დასჯის შესახებ, კულტურული ტრადიცია და ბუნებაც კი მოქცეულია მომხმარებელთა საზოგადოების სისტემაში, რეპროდუცირებული და გამრავლებულია. ამგვარია ენდი უორჰოლის მთელი შემოქმედების უზოგადესი მნიშვნელობა, იმ შემოქმედებისა, რომლის ყოველი ცალკეული ნიმუში გადაწყვეტის თავისებურებით და სისრულით ხიბლავს დამკვირვებელს.

პოპ-არტის გამოცდილებაში გა- [illegible]

კარლო კაჭარავა

# ირაკლი ოქროპირიძის გახსენება

ძნელია მოკლე წერილში ჯეროვნად წარმოვაჩინოთ ირაკლი ოქროპირიძის, ამ სპეტაკი ადამიანის ნათელი სახე.

დავკარგეთ კარგი მოქანდაკე, მასწავლებელი და მეგობარი, მაღალი ზნეობის პიროვნება და შესანიშნავი ოჯახიშვილი.

ყოველივე ამასთან ერთად, გვინდა გავიხსენოთ ბატონ ირაკლის უაღრესად უპრეტენზიო ხასიათი და მოკრძალებული ბუნება. ჩვენ ბევრჯერ სინანულით გავიხსენებთ მას; ვინანებთ ალბათ იმასაც, რომ მეტი სითბო ვერ გამოვიჩინეთ ბატონი ირაკლის მიმართ. მან საზოგადოების უანგარო სამსახურში გაატარა მთელი ცხოვრება, ილვწოდა ჩვენს გვერდით და სიკეთეს თესდა.

მისი ცხოვრება, შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სამაგალითოა ყველა ჩვენთაგანი-



სათვის. ქართული ქანდაკების ისტორიულად ხანმოკლე, მაგრამ შემოქმედებითი ინტენსივობით აღსავსე განვითარება ორგანულად არის დაკავშირებული საქართველოს დამსახურებული მხატვრის, თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების კათედრის გამგის, პროფესორ ირაკლი ოქროპირიძის საქმიანობასთან. მისმა ნაწარმოებებმა დიდი ხანია დამსახურებული ადგილი დაიკავა ქართულ პლასტიკურ ხელოვნებაში. იაკობ ნიკოლაძის ძეგლი მთაწმინდაზე; პორტრეტების მთელი გალერეა: მწერლები: იოსებ იმედაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ბორის პასტერნაკი, სიმონ ჩიქოვანი, ბესო ჟღენტი, ტიციან ტაბიძე და მრავალი სხვა. მან შექმნა იოანე პეტრიწის შესანიშნავი მხატვრული სახე, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა. მაღალი ოსტატობით არის შესრულებული ცხენოსანი ფიგურების კომპოზიციები; მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „მერანი“, „არდადეგებზე“, „ყაბახი“, „ვახტანგ გორგასალი“. ეს ქმნილებები ქართული დაზგური პლასტიკის თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი შენაძენია.

კიდევ ერთხელ გვინდა მადლიერებით გავიხსენოთ ბატონი ირაკლი — შესანიშნავი მოქანდაკე, პედაგოგი, მამულიშვილი. [illegible]

სურათზე: [illegible]

მხატვარი — საქართველოს სსრ მხატვართა კავშირი, თბილისი, რუსთაველის გამზ. № 7. [illegible]

«МХАТВАРИ» СОЮЗ ХУДОЖНИКОВ ГРУЗИНСКОЙ ССР
Тбилиси, просп. Руставели № 7.

სარედაქციო კოლეგია